პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
15 ივნისი
1940 წ.
№ 136 (5837)
ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი ხეხილი, მეტი ბაღები!

ორი სტალინური ხუთწლედის განმავლობაში საქართველოში ჩატარებულია თვალსაჩინო მუშაობა ხეხილის ბაღების გასაშენებლად. მეხილეობის სწრაფი ტემპებით განვითარება განსაკუთრებული სიამაყის გრძნობას იწვევს. ამჟამად საქართველოში ხეხილის ბაღებს 68.000 ჰექტარი უჭირავს. ხეხილის ნაყოფს ორდენოსანი საქართველო გზავნის საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში. მჩდელ-მიჩურინელთა და მებაღე სტახანოველთა მდიდარი გამოცდილება, სანერგე მეურნეობა, კლიმატური პირობები ყოველგვარ პირობას ჰქმნიან ხეხილის ბაღების შემდგომი განვითარებისათვის.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მებაღეობა ყოველწლიურად მატულობს. 1940 წელს ხეხილის გაშენების გეგმა კოლმეურნეობებში გათვალისწინებულია 3.250 ჰექტარის რაოდენობით. მიმდინარე წლის გაზაფხულზე 1.750 ჰექტარის ნაცვლად გაშენებულია 1.800 ჰექტარზე მეტი.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მებაღეობასთან ერთად სერიოზული ყურადღება ექცევა ხეხილის დარგვას კოლმეურნეთა, სოფლად მცხოვრებ მუშათა და მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1939 წლის 30 დეკემბრის დადგენილებით რჩევა მიეცა ყველა კოლმეურნეს, სოფლად მცხოვრებ მუშასა და მოსამსახურეს დარგონ საკარმიდამო ნაკვეთებზე უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში 15-20 ძირი ხეხილი მაინც. 1940 წელს საკარმიდამო ნაკვეთებზე უნდა გაშენებულიყო 200 ათასი ძირი ხეხილი, უმთავრესად ბროწეული, ლეღვი, ნუში, კაკალი, მსხალი, ვაშლი, ატამი, კომში, ზღმარტლი და სხვ. მიმდინარე წლის გაზაფხულზე უნდა დარგულიყო 160 ათასი ძირი, ფაქტიურად დაირგო 189 ათასი ძირი. შემოდგომაზე დაირგება 40 ათასი. მთელმა რიგმა რაიონებმა შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს და გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში 1940 წლის გაზაფხულზე 3.000 ძირის ნაცვლად დარგეს 14.000, ახალციხისაში ნაცვლად 3.300-სა—10.000 ძირი, ადიგენის რაიონში — ნაცვლად 4.300-სა — 8.600, გორის რაიონში კი ნაცვლად 8.000-სა, 11.300, საჩხერის რაიონმა გეგმით გათვალისწინებული 1.500-ს ნაცვლად დარგო 11.000 ძირი. ამ რაიონების ხელმძღვანელ მუშაკებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ ასეთი ღონისძიება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მეხილეობის განვითარებას, რითაც საშუალება მოგვეცემა საქართველოს ხილი მეტი რაოდენობით მივაწოდოთ საბჭოთა კავშირის მშრომელთა სუფრას. მაგრამ იქ, სადაც ამ საქმეს მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან, ვხედავთ ჩამორჩენას. მაგალითად, 1940 წლის გაზაფხულზე ხეხილის დარგვის გეგმები არ შეუსრულებიათ თიანეთის, ხაშურისა და ამბროლაურის რაიონებს. ეს მაშინ, როცა სარგავი მასალა საკმაოდ იყო. ამ რაიონების ხელმძღვანელმა მუშაკებმა ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღონ, რომ დანაკლისი აანაზღაურონ შემოდგომაზე და უზრუნველჰყონ წლიური გეგმების შესრულება.

საშემოდგომო რგვისათვის მზადება ამთავითვე უნდა გაიშალოს, განსაკუთრებით კი მთიან რაიონებში. მეხილეობის რაიონებმა მტკიცედ უნდა გაითვალისწინონ, რომ შემოდგომაზე რგვის დრო ძალიან შემჭიდროებულია. ეს ამოცანა წარმატებით იმ შემთხვევაში იქნება შესრულებული, თუ მეხილეობის რაიონები დროულად და მაღალხარისხოვნად მოამზადებენ ნიადაგს და ორგანიზებულად მოაწყობენ ნერგის შეძენას.

სანერგე მეურნეობა სწყვეტს საზოგადოებრივი და საკარმიდამო მებაღეობის შემდგომი განვითარების საკითხს. ბევრ რაიონში მოწყობილია კარგი სანერგე ქსელი. კოლმეურნენი, სოფლად მცხოვრებნი მუშა-მოსამსახურენი დიდ ინტერესს იჩენენ საკარმიდამო ნაკვეთებზე მეხილეობის გაშენებისადმი. ეს მოითხოვს სანერგე მეურნეობის კიდევ უფრო დიდი მასშტაბით განვითარებას. ნიადაგის დამუშავებისა და სანერგის მოვლის გაუმჯობესება ერთიორად გაადიდებს ნერგის გამოსავლიანობას. მეხილეობის რაიონების საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ ადგილებზე მტკიცე სანერგე ბაზა შექმნან. მაგრამ სანერგე მეურნეობის აშკარა შეუფასებლობას იჩენენ თიანეთის, ახალქალაქის, ბაშკიჩეთის, ონის, ამბროლაურის რაიონებში. აქ დღემდე ვერ შექმნეს ხეხილის სანერგე ბაზა. აი დაუდევრობის ერთი მაგალითი. ყაზბეგის რაიონში მიჩურინული ჯიშების 3.000 ნამყენიდან მხოლოდ 200 გადარგეს, დანარჩენი სანერგეში პირუტყვმა დააზიანა. ამავე დროს კი ყაზბეგის რაიმიწგანის გამგე საქმიწსახკომს ატყობინებდა, ნერგების ნაკლებობას განვიცდითო (!).

ხეხილის ბაღების გაშენებასთან ერთად მზრუნველობით უნდა მოვეპყრათ ნაყოფის მომცემ ბაღებს. ზოგან ხეხილის ნარგავების მოვლას ჯერ კიდევ არ ექცევა სერიოზული ყურადღება. მაგალითად, ქარელის რაიონის სოფ. რუისის და ურბნისის კოლმეურნეობებში ხეხილის ბაღები მოუვლელია. ასეთ ფაქტებს ვხვდებით კასპისა და გორის ზოგიერთ კოლმეურნეობაშიც. საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხ. **კ. ჩარკვიანი** საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე შეეხო ხეხილის მოსავლიანობის გადიდების ამოცანას და განაცხადა: „მიწსახკომი, აგრეთვე მეხილეობის ძირითადი რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოები მოვალენი არიან უკეთ იმუშაონ მეხილეობის საკითხებზე. საჭიროა მივიღოთ ყოველგვარი ზომები აგროტექნიკური წესების გამოსაყენებლად, გავაძლიეროთ ბრძოლა ხეხილის დაავადებასთან, მავნებლებთან და მივაღწიოთ ხეხილის მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას“.

დიდი მუშაობაა საჭირო ყინვაგამძლე, მიჩურინული ჯიშების გამოყვანისათვის მთიან რაიონებში დასანერგავად. კარგი ინიციატივა გამოიჩინა ამ მხრივ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, რომელმაც ქ. მიჩურინში შეიძინა ხეხილის და წივწივანთა მიჩურინული ჯიშები და დარგო უმთავრესად ჯავის რაიონში. მთიან რაიონებში ფართო გასაქანი უნდა მივცეთ ხეხილის მიჩურინულ ჯიშებს. საბჭოთა მებაღეების განკარგულებაშია უმდიდრესი მემკვიდრეობა გამოჩენილი მეცნიერის, ბუნების დიდი გარდამქმნელის ი. ვ. მიჩურინისა, რომელმაც ასეული ახალი ჯიშები გამოიყვანა. მიჩურინის ბაღი სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე სავსებით სამართლიანად იპყრობს კოლმეურნეთა განსაკუთრებულ ყურადღებას.

საკარმიდამო ნაკვეთების ხეხილით გამწვანება ახალი ბაღებით დაამშვენებს ორდენოსანი საქართველოს საკოლმეურნეო სოფელს, დამატებით შემოსავალს მისცემს კოლმეურნეებს. აი ამიტომ მეხილეობის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, სამიწათმოქმედო და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველნაირად უნდა დაუჭირონ მხარი, დაეხმარონ რჩევით, საქმით კოლმეურნეებს ხეხილის გაშენებაში და ამასთანავე გადამჭრელი ზომები მიიღონ არსებულ ნარგავთა სანიმუშოდ მოვლისათვის.

გუფთა-ჩასავალი—ონის გზატკეცილი

(სტალინირი, „კომუნისტის“ საკ. კორ.)

15 ივნისს სამხრეთ-ოსეთის კოლმეურნეთა ინიციატივით დაიწყება გუფთა-ჩასავალი—ონის დიდი გზატკეცილის მშენებლობა, რომელიც სამხრეთ-ოსეთის ცენტრს — სტალინირს დააკავშირებს ონის რაიონთან. მთელი გზის სიგრძე 62 კილომეტრს შეადგენს.

სამხრეთ - ოსეთის კოლმეურნეები, რომელთაც აქვთ ფერგანული მეთოდით მუშაობის მდიდარი გამოცდილება, ჯერ სტალინირ-ლენინგორის გზატკეცილისა და შემდეგ გორი-სტალინირის რკინიგზის მშენებლობაზე, ვალდებულებას იღებენ 20 დღეში დაამთავრონ ამ ახალი გზატკეცილის მთელი მიწის სამუშაოები.

ახალი გზა აგრეთვე ერთმანეთთან დააკავშირებს სტალინირისა და ჯავის რაიონების სოფლებს, რომლებიც გზის გასწვრივ მდებარეობენ.

გუფთა - ჩასავალი — ონის გზატკეცილის მშენებლობის წარმატებით დამთავრებისათვის გზის მთელ ხაზზე შექმნილია 2 სამშენებლო და 13 საწარმოო უბანი. პირველ სამშენებლო უბანზე მშენებლობის უფროსად დანიშნულია ინჟინერი ს. კცოევი და თანაშემწედ პოლიტნაწილში—ამხ. ვ. სანაკოევი. მეორე სამშენებლო უბანზე მშენებლობის უფროსად დანიშნულია ინჟინერი ს. გაგლოევი და თანაშემწედ პოლიტნაწილში — საქ. კ. პ. (ბ) ჯავის რაიკომის მდივანი ამხ. ი. პლიევი. გზატკეცილის მშენებლობის უფროსად დანიშნულია საოლქო აღმასკომის საგზაო განყოფილების უფროსი ამხ. ი. ჩიაევი.

საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ - ოსეთის საოლქო კომიტეტში შესდგა თათბირი გზატკეცილის მშენებლობის მუშაკებთან, ინჟინერ-ტექნიკოსებთან, პოლიტხელმძღვანელებთან და გზის ოსტატებთან ერთად. თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ცხოვრებაშვილი.

გზის მშენებლობაზე მოეწყობა საექიმო პუნქტები. კულტურული გართობის ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს ხელოვნების საქმეთა საოლქო კომიტეტს, რომელიც ადგილზე მიავლენს ხელოვნების მუშაკთა სპეციალურ ბრიგადებს. ვაჭრობის ორგანიზაციებს დავალებული აქვთ მშენებლობაზე კოლმეურნეთა კვების მოწყობა.

სამშენებლო და საწარმოო უბნების ხელმძღვანელი მუშაკები უკვე გაემგზავრნენ ადგილებზე წინასწარი მუშაობის ჩასატარებლად.

ამხ. მოლოტოვმა მიიღო საფრანგეთის ელჩი ბ-ნი ლაბონი

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. მოლოტოვმა 14 ივნისს მიიღო საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ლაბონი. საუბარი ერთ საათზე მეტს გაგრძელდა.

ამხ. მოლოტოვმა მიიღო ინგლისის ელჩი ბ-ნი კრიპსი

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. მოლოტოვმა 14 ივნისს მიიღო ინგლისის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი კრიპსი. საუბარი ერთ საათამდე გაგრძელდა.

შორეული სტარტზე დაბრუნებით

პლანერისტ ამხ. ი. კარტაშოვის დიდი წარმატება

ტულა, 13 ივნისი (საკდესი). გუშინ დილით შეკრების მონაწილეთა ჯგუფმა (მათ შორის საბჭოთა პლანერიზმის ოსტატებმა) მიიღო დავალება — მოეხდინა სტარტზე დაბრუნებით შორფრენა მარშრუტით ტულა-უხოლოვო-ტულა.

9 საათსა და 39 წუთზე ამხ. კარტაშოვი ორადგილიანი პლანერით „სტახანოველით“ ბუქსირებულ იქნა ჰაერში. 18 საათსა და 18 წუთზე საბჭოთა პლანერიზმის ოსტატი ამხ. კარტაშოვი ბრწყინვალედ დაეშვა სწორედ იმ ადგილას, საიდანაც იგი დილით გაემართა შორფრენის ჩასატარებლად.

წინასწარი ცნობებით, ამხ. კარტაშოვმა მარშრუტით ტულა-უხოლოვო-ტულა ძირდაუშვებლად გაიარა 390 კილომეტრი. ამგვარად, მან საგრძნობლად გადააჭარბა სტარტზე დაბრუნებით შორფრენის საერთაშორისო რეკორდს მრავალადგილიანი პლანერების კლასისთვის, დამყარებულს მის მიერვე 1939 წლის 3 ივნისს. მაშინ ამხ. კარტაშოვმა პლანერ „სტახანოველით“ გაიარა 342 კილომეტრი და 370 მეტრი.

მასალები ამხ. კარტაშოვის მიერ 12, ივნისს შესანიშნავი გაფრენის შესახებ განსახილველად გადაეცემა სსრ კავშირის ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო-სასპორტო კომისიას.

სახალხო მოსამართლეთა საანგარიშო მოხსენებანი

სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონი სახალხო მოსამართლეებს ავალებს ანგარიში ჩააბარონ ამომრჩევლებს სახალხო სასამართლოთა მუშაობის შესახებ. მაგრამ ბევრი სახალხო მოსამართლე საკმაო ყურადღებას არ აქცევს ანგარიშის ჩაბარებას. არიან მოსამართლენი, რომლებმაც მთელი 1939 წლის განმავლობაში ვერ მოიცალეს იმისათვის, რომ თუნდაც ერთი მოხსენება გაეკეთებინათ თავიანთი ამომრჩევლების წინაშე. სარატოვის ოლქის 33 სახალხო მოსამართლეს და ყირგიზეთის სს რესპუბლიკის 22 სახალხო მოსამართლეს მთელი წლის განმავლობაში არც ერთხელ არ ჩაუბარებიათ ანგარიში მოსახლეობისათვის. ყირგიზეთის სს რესპუბლიკის სახალხო მოსამართლეებს ამხ. კორჟაევს (ალტაის რაიონი), ამხ. კულტაევს (ბაზარ-ყურგანის რაიონი) და ამხ. ისმაილოვს (ქ. ფრუნზე) თავისი მუშაობის მთელ მანძილზე — 1937 და 1938 წლებიდან მოკიდებული— არც ერთხელ არ ჩაუბარებიათ ანგარიში მოსახლეობისათვის.

ამავე დროს მოსახლეობას ძალიან აინტერესებს სახალხო მოსამართლეთა მუშაობა, ხალისით ესწრება საანგარიშო კრებებს და აქტიურად გამოდის კამათში მოხსენებების გარშემო. ბევრ ადგილას „არადამაკმაყოფილებლად“ უწევენ ანგარიშს ამომრჩეველთა განაწესებს და წინადადებებს.

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარმა ამხ. ნ. მ. რიჩკოვმა წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკათა იუსტიციის სახალხო კომისარიატებს მიიღონ ზომები, რათა გაუმჯობესებულ იქნას სახალხო მოსამართლეთა კავშირი მასებთან.

იმ მოსამართლეთა მიმართ, რომელნიც თავს არიდებენ საჯარო საანგარიშო მოხსენებათა გაკეთებას თავიანთი მუშაობის შესახებ, სახალხო კომისარი წინადადებას იძლევა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ამომრჩევლების წინაშე აღიძრას საკითხი მათი სახალხო სასამართლოებიდან უკან გაწვევის შესახებ.

ამხ. რიჩკოვი წინადადებას იძლევა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამომრჩეველთა გამოსვლებს: მათი განაწესები და წინადადებანი უცილობლად იქნას მიღებული მხედველობაში, სისტემატური კონტროლი გაეწიოს მათ შესრულებას. (საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. **ა. ი. ლავრენტიევი** დანიშნა სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად რუმინეთში და გაათავისუფლა იგი სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოვალეობისაგან ბულგარეთში.

* * *

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ა. ი. სმირნოვი** გაათავისუფლა სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისრის პირველი მოადგილის და სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის მოვალეობისაგან. (საკდესი).

წითელი არმიის უმაღლესი უფროსმადგენლობისათვის სამხედრო სახელწოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება*

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს მთავრობის კომისიის წინადადებანი წითელი არმიის უმაღლესი უფროსმადგენლობის პირთათვის იმ სამხედრო სახელწოდებათა მინიჭების შესახებ, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით.

XV.

მიენიჭოს ავიაციის გენერალ-მაიორის სახელწოდება:

19. ალექსანდრე ათანასეს-ძე **დემიდოვს,**
20. ივანე ივანეს-ძე **დუშკინს,**
21. ივანე ივანეს-ძე **ევსევიევს,**
22. თევდორე ემელიანეს-ძე **ემელიანოვს,**
23. ივანე ტროფიმეს-ძე **ერემენკოს,**
24. გიორგი ნეფედის-ძე **ზახაროვს,**
25. ვასილ ივანეს-ძე **ივანოვს,**
26. ივანე იოსების-ძე **იგნატოვს,**
27. ვლადიმერ ივანეს-ძე **იზოტოვს,**
28. ალექსი პავლეს-ძე **იონოვს,**
29. პეტრე პავლეს-ძე **იონოვს,**
30. მიხეილ პავლეს-ძე **კუზმინს,**
31. ვასილ ილიას-ძე **კლევცოვს,**
32. პავლე პროკოფის-ძე **კობელევს,**
33. ალექსანდრე სტეფანეს-ძე **კოლესოვს,**
34. დანიელ თევდორეს-ძე **კონდრატიუკს,**
35. ივანე ივანეს-ძე **კოლეცს,**
36. სტეფანე გიორგის-ძე **კოროლს,**
37. პეტრე ვასილის-ძე **კოროტაევს,**
38. პავლე ალექსანდრეს-ძე **კოტოვს,**
39. ალექსანდრე მიხეილის-ძე **კრავცოვს,**
40. სტეფანე აკიმის-ძე **კრასოვსკის,**
41. ტიმოთე თევდორეს-ძე **კუცევალოვს,**
42. ივანე ალექსის-ძე **ლაკეევს,**
43. ნიკოლოზ ალექსის-ძე **ლასკინს,**
44. ალექსანდრე ალექსის-ძე **ლევინს,**
45. ვლადიმერ ნიკიფორეს-ძე **მალჩიკოვს,**
46. ბორის იაკობის-ძე **მაშენკინოვს,**
47. ნიკოლოზ ივანეს-ძე **მიხაილოვს,**
48. გერბერტ ფრიდრიხის-ძე **მიხელსონს,**
49. თევდორე გიორგის-ძე **მიჩუგინს,**
50. ვასილ სერგის-ძე **მოლოკოვს,**
51 ვლადიმერ ვარდენის-ძე **ნანეიშვილს,**
52. ლეონიდე ილიას-ძე **ნარიშკინს,**
53. ალექსანდრე პეტრეს-ძე **ნეკრასოვს,**
54. ალექსი ვასილის-ძე **ნიკიტინს,**
55. ევგენი მაკარის-ძე **ნიკოლაენკოს,**
56. ალექსანდრე ალექსანდრეს - ძე **ნოვიკოვს,**
57 ალექსანდრე სტეფანეს-ძე **ოსიპენკოს,**
58. მიხეილ ივანეს-ძე **პერფილიევს,**
59. ივანე თევდორეს-ძე **პეტროვს,**
60. თევდორე პეტრეს-ძე **პოლინინს,**
61. ზინობი მაქსიმეს-ძე **პომერანცევს,**
62. ივანე გაბრიელის-ძე **პიატიხინს,**
63. ალექსანდრე სერგის-ძე **სენატოროვს,**
64. სერგი პავლეს-ძე **სინიაკოვს,**
65. ფილიპე სიმონის-ძე **სკობლიკს,**
66. იოსებ ვასილის-ძე **სკრობუკს,**
67. ივანე ექვთიმეს-ძე **სოკოლოვს,**
68. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **სოკოლოვ-სოკოლიონოკს,**
69. ივანე ტიმოთეს-ძე **სპირინს,**
70. ბორის ვასილის-ძე **სტერლიგოვს,**
71. მიხეილ პავლეს-ძე **სტროევს,**
72. ევგენი ივანეს-ძე **ტატარჩენკოს,**
73. ანდრია ივანეს-ძე **ტაიურსკის,**
74. ბორის ლევის-ძე **ტეპლინსკის,**
75. ალექსანდრე ალექსანდრეს - ძე **ტურჟანსკის,**
76. გრიგოლ ილარიონის-ძე **ტხორს,**
77 ალექსანდრე ზაქარიას-ძე **უსტინოვს,**
78. თევდორე იაკობის-ძე **ფალალეევს,**
79. თევდორე გაბრიელის-ძე **ფედოროვს,**
80. ალექსანდრე ივანეს-ძე **ფილინს,**
81. მიხეილ პეტრეს-ძე **ხარიტონოვს,**
82. ტიმოთე ტიმოთეს-ძე **ხრიუკინს,**
83. სერგი ალექსანდრეს-ძე **ჩორნიხს,**
84. ანდრია როდიონის-ძე **შარაპოვს,**
85. ერნსტ გენრიხის-ძე **შახტს,**
86. ვლადიმერ ილარიონის-ძე **შევჩენკოს,**
87. პეტრე სიმონის-ძე **შელუხინს,**
88. მიხეილ ვასილის-ძე **შიშკინს,**
89. იაკობ სტეფანეს-ძე **შკურინს,**
90. პავლე პავლეს-ძე **იუსუპოვს.**

XVI.

მიენიჭოს სატანკო ჯარის გენერალ - მაიორის სახელწოდება:

1. ნიკიფორე ეფრემის-ძე **ალექსეევს,**
2. ილია პროკოფის-ძე **ალექსეენკოს,**
3. გრიგოლ იაკობის-ძე **ანტონოვს,**
4. ვიქტორ ილიას-ძე **ბარანოვს,**
5. ნიკოლოზ ანტონის-ძე **ბოლოტნიკოვს,**
6. არსენ ვასილის-ძე **ბორზიკოვს,**
7. სიმონ ვასილის-ძე **ბორზილოვს,**
8. ნიკოლოზ დენისის-ძე **ვედენეევს,**
9. ბორის გიორგის-ძე **ვერშინინს,**
10. პეტრე ვასილის-ძე **ვოლოხს,**
11. ვასილ ტიმოთეს-ძე **ვოლსკის,**
12. ნიკოლოზ დიმიტრის-ძე **გოლცევს,**
13. ვასილ ივანეს-ძე **ივანოვს,**
14. გიორგი ივანეს-ძე **ივანოვს,**
15. ვლადიმერ ნესტერის-ძე **კაშუბას,**
16. გრიგოლ ნიკოლოზის-ძე **კოვალევს,**
17. მიხეილ ალექსანდრეს-ძე **კოროლევს,**
18. პეტრე ვასილის-ძე **კოტოვს,**
19 ალექსი ვასილის-ძე **კურკინს,**
20. ივანე გაბრიელის-ძე **ლაზარევს,**
21. ტიმოთე ანდრიას-ძე **მიშანინს,**
22. როდიონ ნიკოლოზის-ძე **მორგუნოვს,**
23. დიმიტრი კარპეს-ძე **მოსტოვენკოს,**
24. ვასილ ვასილის-ძე **ობუხოვს,**
25. მიხეილ ივანეს-ძე **პაველკინს,**
26. ალექსი პავლეს-ძე **პანფილოვს,**
27. ალექსანდრე გიორგის-ძე **პოლიკარპოვს,**
28. ალექსი თევდორეს-ძე **პოპოვს,**
29. მიხეილ ივანეს-ძე **პოტაპოვს,**
30. ანდრია გერასიმეს-ძე **პოტატურჩევს,**
31. ვიქტორ პავლეს-ძე **პუგანოვს,**
32. თევდორე ტიმოთეს-ძე **რემიზოვს,**
33. პეტრე ანდრიას-ძე **სევასტიანოვს,**
34. კუზმა ალექსანდრეს-ძე **სემენჩენკოს,**
35 იაგორ ნიკოლოზის-ძე **სოლიანკინს,**
36. კირილე ფილიპეს-ძე **სულეიკოვს,**
37. ივანე პროკოფის-ძე **სუხოვს,**
38. ვლადიმერ სტეფანეს-ძე **ტამრუჩის,**
39. ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე **ფეკლენკოს,**
40. მიხეილ ლევის-ძე **ჩერნიავსკის,**
41. ნიკოლოზ ალექსის-ძე **ჩეტვერიკოვს,**
42. ანდრია დიმიტრის-ძე **შტევნევს,**
43. ალბერტ ივანეს-ძე **შტრომბერგს,**
44. პეტრე ევდოკიმეს-ძე **შუროვს.**

XVII.

მიენიჭოს კავშირგაბმულობის ჯარის გენერალ-მაიორის სახელწოდება:

1. ალექსი ვასილის-ძე **აფანასიევს,**
2. მიხეილ ტროფიმეს-ძე **ბელიკოვს,**
3. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **ბორზოვს,**
4. ივანე ტიმოთეს-ძე **ბულიჩევს,**
5. სტეფანე თომას-ძე **ვოლკს,**
6. ვასილ მიხეილის-ძე **გოვიადკინს,**
7. ვალენტინე არხიპის-ძე **გრებნევს,**
8. ანდრია ტერენტის-ძე **გრიგორიევს,**
9. დიმიტრი მიხეილის-ძე **დობიკინს,**
10. ვლადიმერ ათანასეს-ძე **დუბინკინს,**
11. ტიხონ პავლეს-ძე **კარგოპოლოვს,**
12. ივანე ტიმოთეს-ძე **კირიჩენკოს,**
13. იოსებ ნესტერის-ძე **კოვალევს,**
14. ივანე თევდორეს-ძე **კოროლიოვს,**
15. ანდრია ივანეს-ძე **კრასნოვს,**
16. ვლადიმერ ავტონომის-ძე **პანფილოვს,**
17. ნიკოლოზ დემიანის-ძე **პსურცევს,**
18. სერგი მიხეილის-ძე **სოკოლოვს,**
19 ანდრია მათეს-ძე **სტრელკოვს,**
20. არკადი სერგის-ძე **იაკოვლევს.**

XVIII.

მიენიჭოს საინჟინერო ჯარის გენერალ - მაიორის სახელწოდება:

1. ნიკოლოზ პართენის-ძე **ბარანოვს.**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

---

*) (გაგრძელება. დასაწყისი იხ. 6, 8, 9, 10, 11, 12 და 14 ივნისის „კომუნისტის“ ნომრებში).

ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება უხვი მოსავლის მიღებისათვის

გორელ კოლმეურნეთა ვალდებულებანი

ᲒᲝᲠᲘ, 14 ივნისი (სპეც. კორესპონდენტისაგან).

პარტიისა და მთავრობის დადგენილებამ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის 1941 წელს განგრძობის შესახებ ახალი შრომითი ენტუზიაზმი გამოიწვია კოლმეურნეებსა და მტს-ის მუშაკებს შორის. დღეს საღამოს გორის მტს-ში სახელდახელო კრებაზე შეიკრიბნენ მტს-ის მუშა-მოსამსახურენი.

კრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა მტს-ის დირექტორის მოადგილემ პოლიტნაწილში ამხ. ესტატე თომაშვილმა.

პარტიისა და მთავრობის დადგენილების გაცნობის შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ კომბაინერი მამუკაშვილი, ბრიგადირი კულიაშვილი, აგრონომი ბლიაძე, უბნის აგრონომი გოგულაშვილი, მტს-ის მოძრავი სახელოსნოს მექანიკოსი — თვალიაშვილი, აგრ. ხარატიშვილი და სხვ.

მიესალმნენ რა პარტიისა და მთავრობის დადგენილებას, სიტყვებით გამოსული ამხანაგები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი 1941 წლის გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის.

კომბაინერმა მამუკაშვილმა იკისრა მოსავალი უდანაკარგოდ აიღოს 400 ჰექტარზე და გასწიოს საწვავი მასალის ეკონომია 1.500 კილოგრამის რაოდენობით. მან შეჯიბრებაში გამოიწვია კომბაინერი აფციაური. სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა შაქრო ყულიაშვილმა აიღო ვალდებულება „ჩტზ“ ტრაქტორით დაამუშაოს 350 ჰექტარი მიწა, თვითეულ ტრაქტორზე გასწიოს საწვავის ეკონომია 5 ათასი კილოგრამის რაოდენობით. მან სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ნაცვლიშვილის ბრიგადა.

გორის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა და სპეციალისტთა კრებამ პარტიისა და მთავრობის დადგენილებას უპასუხა 1940 წელს მაღალი მოსავლის მიღებისათვის და 1941 წლის გამოფენაზე მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად კონკრეტული ვალდებულებების აღებით. ვალდებულებათა შორის იკისრეს 1940 წლის მოსავალი უდანაკარგოდ აიღონ 20 კალენდარულ დღეში, მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში მიიღონ ჰექტარზე საშუალოდ 300 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, მსხვილ კოლმეურნეობებში მოაწყონ აგროწრეები, სატრაქტორო ბრიგადებში გამოუშვან კედლის გაზეთები, ვადაზე ადრე შეასრულონ სახელმწიფო ვალდებულებანი.

გორის მტს-ის მუშაკებმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს კასპის მტს-ი.

მძლავრი მოწოდება, ახალი ვალდებულებანი

(„კომუნისტის“ სპეც. კორ.)

— დღეს გაზეთმა სასიხარულო ამბავი გვამცნო სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებით სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გრძელდება 1941 წლისათვის,—განაცხადა თბილისის რაიონის სოფ. დიღმის ლენინის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. დ. მარიამულმა კოლმეურნეთა კრებაზე. კოლმეურნეები ამ ამბავმა დიდად აღაფრთოვანა. კრებამ გულდასმით მოუსმინა ამხ. კირკიტაძეს, რომელიც უკითხავდა და განუმარტავდა კოლმეურნეებს მათთვის სასიხარულო დადგენილებას.

კრებაზე გამოსულნი — მეცხოველეობის ფერმის გამგე, ზოოტექნიკოსი ამხ. მ. სირბილაძე, რომელიც გასულ წელს მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა ქების სიგელით დააჯილდოვა და რომელიც ამჟამადაც გამოფენის მონაწილეა, აგრეთვე კოლმეურნეები ამხ. გ. გენებაშვილი, ი. ისელიძე, ა. გენებაშვილი, მ. ლებედევი, კოლმეურნეობის აგრონომი ბ. დოლიძე და სხვ. ერთსულოვნად მიესალმნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებას და აიღეს ახალი ვალდებულებები შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის, 1941 წლის გამოფენაში მონაწილეობის მიღების უფლებისათვის.

კრებამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება, რომ კოლმეურნეებმა ზუსტად გაატარონ ყველა აგროღონისძიება, ფართოდ დანერგონ გამოფენაზე მიღებული გამოცდილება, გაიყვანონ ახალი სარწყავი არხი, რომელიც კოლმეურნეობას საშუალებას მისცემს ბოსტნეული კულტურებისათვის აითვისოს 200 ჰექტარი მიწის ფართობი, მოაწყონ მეცხენეობისა და მეფრინველეობის ფერმები და სხვ.

კოლმეურნეთა კრებამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თბილისის რაიონის სოფ. ავჭალის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა.

სოცშეჯიბრება პრესის მუშაკთა შორის

ᲛᲪᲮᲔᲗᲐ, 14 ივნისი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით შესდგა მცხეთის რაიონული გაზეთის „კომუნიზმის გზით“ რედაქციის მუშაკთა, მუშსოფლკორთა და კედლის გაზეთების რედაქტორთა თათბირი. თათბირზე მოსმენილ იქნა მოხსენება პარტიისა და მთავრობის ზემოაღნიშნულ დადგენილებასთან დაკავშირებით პრესის მუშაკთა ამოცანების შესახებ.

რაიონული გაზეთის რედაქციამ იკისრა ფართოდ გააშუქოს გამოფენისათვის მზადების საკითხები და ამავე დროს იბრძოლოს 1941 წლის გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის.

რაიგაზეთის რედაქცია ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა მთელი რიგი ვალდებულებანი, სახელდობრ, — სისტემატურად გააშუქოს კედლის გაზეთების შეჯიბრების მიმდინარეობა, მოათავსოს კედლის გაზეთების მიმოხილვა, ფართოდ გააშუქოს 1940 წლის გამოფენის მონაწილეთა გამოცდილება.

ამ ვალდებულებათა უკეთ შესრულებისათვის მცხეთის რაიგაზეთის რედაქციამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ქარელის რაიგაზეთი და არბიტრად დაასახელა საქ. კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომი და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა სოცშეჯიბრების ორგანიზატორია

ᲛᲪᲮᲔᲗᲐ, („კომუნისტის“ სპეც. კორ.). სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას მცხეთის რაიონის კოლმეურნეები, მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის მუშები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ. 14 ივნისს მუხრანის მევენახეობა - მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა - მოსამსახურეთა კრებაზე გაეცნენ პარტიისა და მთავრობის ამ დადგენილებას.

მეურნეობის უფროსმა აგრონომმა, 1940 წლის გამოფენის მონაწილემ ამხ. ვ. გვერდწითელმა განაცხადა: — პარტიისა და მთავრობის დადგენილება 1941 წლისათვის სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის განგრძობის შესახებ მძლავრი მოწოდებაა სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლისა და უხვი მოსავლის მიღებისათვის. ეს დადგენილება მოგვიწოდებს უფრო გაბედულად დავნერგოთ გამოფენის მონაწილეთა სტახანოვური გამოცდილება. ვკისრულობთ ვალდებულებას 1940 წელს გამოვუშვათ 150 ათასი ბოთლი მაღალხარისხოვანი შამპანური ღვინო და მივიღოთ ჰექტარზე საშუალოდ 85 ცენტნერი ყურძენი.

სიტყვებით გამოვიდნენ მეხილე აგრონომი ვ. შენგელია, მებაღეობის ბრიგადირი გ. აბუაშვილი, ბრიგადირი კ. ყურაშვილი, მევენახე აგრონომი გ. ვაკინგუტი და სხვ., რომლებიც ერთსულოვნად იწონებდნენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებას სასოფლო - სამეურნეო გამოფენის 1941 წლისათვის განგრძობის შესახებ და სიტყვას იძლეოდნენ, რომ სტახანოვური მუშაობით მოიპოვებენ 1941 წელს გამოფენაში მონაწილეობის უფლებას.

მუხრანის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია წინანდლის მევენახეობა - მეღვინეობის საბჭოთა მეურნეობა და არბიტრობა სთხოვა გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას.

დიდი აქტივობით ჩატარდა კრება სოფ. მუხრანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. ამ კოლმეურნეობის ბრიგადირები გ. ჩეკურაშვილი, გ. მებაღიშვილი, ი. ორკოდაშვილი, ლ. არბოლიშვილი, კოლმეურნე ვ. ფოლოდოვი აღნიშნავდნენ, რომ სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენა სოცშეჯიბრების ორგანიზატორი გახდა.

კოლმეურნეთა საერთო კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) მცხეთის რაიკომის მდივანი ამხ. გ. ცხოვრებაშვილი, რომელიც შეეხო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის 1941 წლისათვის განგრძობის უდიდეს მნიშვნელობას და კოლმეურნეთა წინაშე დასახა საბრძოლო ამოცანები მოსავლიანობის შემდგომი გადიდების საქმეში.

14 ივნისს საღამოს მცხეთის მტს-ის მუშა - მოსამსახურეთა კრება გაეცნო პარტიისა და მთავრობის ზემოაღნიშნულ დადგენილებას.

კომბაინერმა ქ. დიომინდმა განაცხადა — ნაცვლად 240 ჰექტარისა მოსავალს ავიღებ 500 ჰექტარზე. ასეთივე ვალდებულებანი იკისრეს ალ. ჩუმაკოვმა, არ. ბუზიაშვილმა, ვ. ასიტოვმა და სხვ. მტს-ის დირექტორმა კ. ქაჯაიამ განაცხადა—ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ უფრო მტკიცედ დავნერგოთ მტს-ში სტახანოვური გამოცდილება.

მცხეთის მტს-მა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია თელეთისა და კასპის მტს-ები.

ახალი წარმატებებისაკენ

(„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

14 ივნისს საღამოს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, ავჭალის ლ. ბერიას სახელობის მილიონერ კოლმეურნეობაში შესდგა კოლმეურნეთა საერთო კრება, რომელზეც განხილულ იქნა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებანი 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთათვის მისაცემი პრემიებისა და ჯილდოების და 1941 წლისათვის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის განგრძობის შესახებ. დადგენილებებმა კოლმეურნეებში შრომითი ენტუზიაზმის ახალი აზვირთება გამოიწვია.

სიტყვა აიღო კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმის გამგემ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილემ ც. დოდელიამ. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის მაისში ფერმამ გეგმა 140 პროცენტით შეასრულა და იკისრა ივლისში სრულად ჩააბაროს სახელმწიფოს 1940 წლის გეგმით გათვალისწინებული რძის პროდუქტები და ხორცი.

მებოსტნეობის ბრიგადირმა პ. ხაჰაპურიძემ ვალდებულება აიღო თითო ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 24 ტონა პამიდორისა მოიყვანოს 26 ტონა, ხოლო 8 ტონა კიტრის ნაცვლად — 10 ტონა. მეცხვარეობის ფერმის გამგემ ს. ამირანაშვილმა ვალდებულება აიღო მნიშვნელოვნად გაზარდოს რძის პროდუქტებისა და მატყლის დამზადება. მან თავის ბრიგადის წევრების სახელით იკისრა მაქსიმალურად გააუმჯობესოს ცხვრის მოვლა და მიაღწიოს თითო ცხვარზე 3 კილოგრამის ნაცვლად 3 კილოგრამისა და 200 გრამი მატყლის მიღებას, ხოლო თითო ცხვარზე მიღებული რძისაგან ნაცვლად 3 კილოგრამი ყველისა დაამზადოს 3-ნახევარი კილოგრამი. მემინდვრეობის ბრიგადირმა გ. ლომიშვილმა იკისრა ისე დაამუშაოს 20 ჰექტარი მიწა, რომ თითო ჰექტარზე მოიყვანოს 100 ფუთი პური, ხოლო 80 ჰექტარ ფართობზე დათესილი ქერის მოსავალი ჰექტარზე 100 ფუთამდე გაზარდოს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილემ ამხ. თ. ვარდანაშვილმა წინადადება შემოიტანა, რომ მიმდინარე წელს კოლმეურნეობაში მოეწყოს მეფრინველეობის ფერმა 2000 ქათმით.

თავმჯდომარემ კოლმეურნეებს მოუწოდა კიდევ უფრო ენერგიულად იბრძოლონ 1941 წლის გამოფენაში მონაწილეობის მოპოვებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელაველ კოლმეურნეთა ახალი წარმატებები

მოწინავე ადამიანები. **სურათზე** (მარცხნიდან)—ზევით: სოფ. ზემო-ალვანის შინსახკომის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ანდრო ბორძიკიძე,** ბრიგადირი **პ. აბაშიძე;** ქვევით: სოფ. ქისტაურის მეაბრეშუმეობაში სტახანოვური მოძრაობის ინიციატორი **ოსანა აივაზაშვილი,** სოფ. ზემო-ალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსი **ლევან შველაშვილი,** კოლმეურნეობის პარტორგი **ი. აბაშიძე.**

საკოლმეურნეო სოფლის პროდუქტთა სიუხვე

საკოლმეურნეო შრომის ბარაქამ და ხვავმა წელში გამართა კახელი გლეხი, გაალამაზა მისი კარმიდამო, გაამშვენიერა სოფელი და სახე უცვალა რაიონსაც. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით და საბჭოთა მთავრობის უდიდესი დახმარებით კოლმეურნე გლეხობამ უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია.

დღეს თელავის რაიონის 13.302 გლეხური მეურნეობა 133 კოლმეურნეობაშია გაერთიანებული. მარტო 1939 წლის განმავლობაში კოლმეურნეობებში შევიდა 3.861 კომლი. კოლექტივიზაციის პროცენტი 98,3-ს შეადგენს. კოლმეურნეობებზე მუდმივი სარგებლობისათვის სახელმწიფო აქტით გადაცემულია რაიონში არსებული მთელი სახნავ-სათესი მიწების 96 პროცენტი, რომლის 70-80 პროცენტის დამუშავება ხდება თელავის და ახმეტის მტს-ების მიერ. მარტო თელავის მტს-ი მომსახურებას უწევს 43 კოლმეურნეობას და ამუშავებს ამ კოლმეურნეობათა 10.310 ჰექტარ ნოყიერ მიწას. დიდად არის განვითარებული მეცხოველეობა. 98 კოლმეურნეობაში მოწყობილია: მეძროხეობის 110, მეღორეობის 19, მეცხვარეობისა და მეთხეობის 129, მეცხენეობის 6 ფერმა. პირუტყვის სულადობამ უკანასკნელ წლებში ერთიორად იმატა.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ურყევად გატარების საფუძველზე კოლმეურნეთა შრომის ბარაქამ ერთიორად იმატა. ეს წარმატება შესამჩნევი გახდა უფრო მას შემდეგ, რაც რაიონის კოლმეურნეობები შეუდგნენ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადებას. 1939 წლის გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის თელავის რაიონის კოლმეურნეობებს და კოლმეურნეებს ერთმანეთის შორის შეჯიბრება ჰქონდათ გაჩაღებული. ამის შედეგად 12 კოლმეურნეობამ და რაიონის 138 მოწინავემ მოიპოვა უფლება ყოფილიყო ამ გამოფენის მონაწილე.

გამოფენის მონაწილეთა მდიდარ გამოცდილებაზე მოთხრობილმა ამბებმა რაიონის კოლმეურნეთა შორის ახალი ენთუზიაზმი და აღფრთოვანება გამოიწვია.

საკოლმეურნეო შრომის ნოვატორები

რკინიგზის ბაქნიდან სამი კილომეტრით არის დაშორებული სოფელი აკურა. ამ სოფლის კოლმეურნეობა „მოწინავის" სახელი ცნობილია თელავის რაიონის გარეთაც. კოლმეურნეობაში გაერთიანებულია 545 კომლი ანუ სოფლის მთელი მოსახლეობა კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითადი წყარო მევენახეობაა. კოლმეურნეთა თავდადებული და მუყაითი შრომით კოლმეურნეობა გადაიქცა ნამდვილ ბოლშევიკურ კოლმეურნეობად, ხოლო კოლმეურნეები შეძლებულებად.

კოლმეურნეობის ვენახს 150 ჰექტარი ფართობი უჭირავს, აქედან მოსავლის მომცემია 32 ჰექტარი. გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის ბრძოლა თითქმის სამი წელიწადი გრძელდება. გასულ წელსაც იყვნენ ამ კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანები გამოფენის მონაწილეებად, მაგრამ კოლმეურნეობას ეს როდი აკმაყოფილებს.

გამოფენისათვის უკეთესად მომზადების საქმეში კოლმეურნეობამ სოციალისტურ შეჯიბრებაში სოფ. სანიორის კოლმეურნეობა „პირველი მაისი" გამოიწვია. თვითონ კოლმეურნეობის შიგნითაც ბრიგადებსა და ცალკეულ კოლმეურნეთა შორის გაჩაღდა შეჯიბრება. კარგად ორგანიზებული შრომის შედეგად გამარჯვება მოპოვებულ იქნა. მაღალი მოსავლის მიღებისა და სასოფლო-სამეურნეო გეგმების კარგი მაჩვენებლებით შესრულებისათვის კოლმეურნეობამ მოიპოვა უფლება ფართო ჩვენებით წასვლისა სას.-სამ. გამოფენაზე.

1939 წელს კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 96 ცენტნერი ყურძნის მოსავალი, მიაღწია ვაზის ნამყენის 70,7 პროცენტით გახარებას.

ამ შესანიშნავ გამარჯვებებს კოლმეურნეობამ მიაღწია სტახანოვური შრომის ფართოდ დანერგვით და მოწინავე კოლმეურნეთა შესანიშნავი მუშაობის ფართოდ გამოყენებით.

1940 წ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებად დამტკიცებული არიან კოლმეურნეობის საუკეთესო სტახანოველები, რომელთა შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები ყოველგვარ საზღვარს სცილდება.

მოსე კასრელიშვილი კოლმეურნეა 1934 წლიდან. ის ვაზის მყნობის შესანიშნავი ოსტატია. მთელ საქართველოს სსრ-ში პირველმა იკისრა ნამყნის გახარება 80 პროცენტით. ზოგიერთ სპეციალისტს მის მიერ ასეთი ვალდებულების აღება სიცილადაც არ ეყო. მაგრამ მოსეს მათთვის ყური არ დაუგდია. ბოლოსდაბოლოს მიაღწია იმას, რომ აღებული ვალდებულება პირნათლად შეასრულა. 1939 წელს მიიღო ნამყნის გახარება 82 პროცენტით, რაც სარეკორდოდ ითვლება. ამხ. კასრელიშვილმა 1939 წელს 753 შრომადღე გამოიმუშავა.

დავით ბლუიშვილიც ნამყენის მაღალი პროცენტით გახარების ოსტატია. 1939 წელს მიაღწია ნამყნის გახარებას 78,8 პროცენტით, ნაცვლად 1938 წლის 75 პროცენტისა. მას გამომუშავებული აქვს 611 შრომადღე.

ვასილ ჭურღულაშვილი ყურძნის მაღალი მოსავლის მიღების ოსტატად ითვლება. მიმაგრებულ ვენახიდან ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 100 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი. გამომუშავებული აქვს 612 შრომადღე.

ლადო ლაღიაშვილი ყურძნის მაღალი მოსავლის მიღების ოსტატად ითვლება. მოსავლიანი ურწყავი ვენახიდან 1938 წელს ერთ ჰექტარზე საშუალოდ 61 ცენტნერი ყურძნის მოსავალი მიიღო იმ დროს, როდესაც ვენახები 50 პროცენტით იყო დასეტყვილი. 1939 წელს კი ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 90 ცენტნერი საუკეთესო ხარისხის ყურძენი. გამომუშავებული აქვს 655 შრომადღე.

კოლმეურნე სტახანოველთა რაოდენობა კოლმეურნეობაში 150 კაცს აღემატება.

1939 წელს კოლმეურნეთა დიდმა უმრავლესობამ გამომუშავებულ შრომადღეებზე მიიღო ფულად 1.000 მანეთამდე, 20 ცენტნერი მარცვლეული, 45 დეკალიტრი ღვინო, 4 დეკალიტრი არაყი და სხვ.

აკურა, წინათ ჩამორჩენილი და უკულტურო, დღეს რაიონში მოწინავე კულტურულ სოფლად ითვლება. კოლმეურნეთა 90 პროცენტი წერა-კითხვის მცოდნეა, მათში უმაღლესი განათლებით არის 5 კაცი, საშუალოთი 150 კაცი და არასრული საშუალო ცოდნით 500 კაცი. ამ სოფლის კოლმეურნეთა შვილებიდან სწავლობენ: ტექნიკუმებში 60 კაცი, უმაღლეს სასწავლებლებში 10 კაცი და სამხედრო სასწავლებელში—1.

გამოფენის 174 მონაწილე

შესანიშნავი მაჩვენებლებით შეხვდა რაიონი სასოფლო-სამეურნეო გამოფენას. გაიზარდა გამოფენის მონაწილეთა რაოდენობაც. რაიმიწგანში შემოსულ განცხადებათა საფუძველზე შერჩეულია და ზემდგომ ორგანოებში დამტკიცებულია 174 მონაწილე.

აკურის კოლმეურნეობა „მოწინავის" გარდა, გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა აგრეთვე 1939 წლის გამოფენის მონაწილე სანიორის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობამ, რომელმაც მეღორეობის დარგში შესანიშნავი წარმატებისათვის მთავარი საგამოფენო კომიტეტისაგან მიიღო მეორე ხარისხის დიპლომი, 5.000 მანეთი და მოტოციკლი. კოლმეურნეობასთან ერთად გამოფენაზე წასვლის უფლება მოიპოვეს ამ კოლმეურნეობის წარჩინებულმა ადამიანებმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ბ. თათულოვმა, გერანის დიდი მოსავლიანობის მიმღებმა კოლმეურნეებმა გრიგოლ არუთინოვმა, პეტრე აივაზოვმა, არუსიაკ აივაზოვმა და ბრიგადირმა ალა მარტიროსოვმა.

სანიორის კოლმეურნეობამ გასულ წელს გერანის მაღალი მოსავალი მიიღო. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ტონა ნედლი მასისა ჰექტარზე საშუალოდ აიღო 28 ტონაზე მეტი, ხოლო გიორგი არუთინოვმა მიმაგრებული ნაკვეთებიდან 33 ტონა აიღო ჰექტარზე.

ამავე კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმაში გასულ წელს თვითეული დედა-ღორიდან გაზარდეს 19 გოჭი. მეღორეობის ფერმის გამგემ არმენაკ თათულოვმა იკისრა 1940 წელს თვითეული დედა-ღორიდან გამოზარდოს არანაკლებ 20 გოჭისა.



თელავი. ზემოალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობა. **სურათზე:** კოლმეურნეთა საცხოვრებელი სახლი.

ამხ. არმენაკ თათულოვი 1940 წლის გამოფენის მონაწილეა.

გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ჩვენში კარგად ცნობილმა ქისტაურელმა მეაბრეშუმეებმა ამხ. ოსანა აივაზაშვილის მეთაურობით. მათ 1939 წელს უკეთესი მაჩვენებლებით დაამთავრეს მეაბრეშუმეობის მოსავლიანობის წელი. გარდა იმისა, რომ 18-20 დღემდე შეამცირეს ჭიის კვების ხანგრძლივობა, ერთ კოლოფ გრენაზე 80-90 კილოგრამი მაღალი ხარისხის პარკი მიიღეს, რაც მაღალ მოსავლად ითვლება.

თელავის რაიონის მეაბრეშუმეებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 74,4 ტონა მაღალხარისხოვანი პარკი. სტახანოველმა მეაბრეშუმე ბაბე ბოტკოველმა (სოფ. ლალის ყური) ჩაბარებულ პარკზე 2.680 მანეთი მიიღო. ამ ფულით შეიძინა საოჯახო ავეჯი, ნივთები, კულტურულად მოაწყო სახლი. ფშაველმა მეაბრეშუმე სტახანოველმა გენო გურგენიძემ სახელმწიფოს ჩააბარა 1.988 მანეთის პარკი. ამ კოლმეურნეებმა დიდი მუშაობა გასწიეს რათა მოეპოვებინათ გამოფენაზე წასვლის უფლება.

8 კოლმეურნეობამ, რომელთაც გასულ წელს ჭიის განსაზოგადოებული გამოკვება ჰქონდათ მოწყობილი, მეაბრეშუმეობიდან მიიღეს 45 ათას მანეთზე მეტი შემოსავალი.

მაღალი მოსავლიანობისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითები აქვთ სოფ. წინუბნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობას, რომელმაც ჰექტარზე აიღო 13,5 ცენტნერი ხორბალი, და სოფ. ნაკალოვარის კოლმეურნეობა „წითელ ვარსკვლავს", რომელმაც ჰექტარზე 12 ცენტნერი ხორბალი მიიღო. მატნის მახარაძის სახ. კოლმეურნეობამ სიმინდის უხვი მოსავალი მიიღო—ჰექტარზე აიღო 44 ცენტნერი სიმინდი.

თელავის რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ენერგიულად იბრძვიან საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა და ამხანაგ **სტალინის** მითითებათა განხორციელებისათვის, საქ. კ. პ. (ბ) მე-13 ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ყველა კულტურის ხაზით მაღალი სტალინური მოსავლის მიღება და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდა, — აი საითკენ არის წარმართული თელაველ კოლმეურნეთა მუშაობა.

გამოფენაზე წასვლის უფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში უფროსებს არც ნორჩი ნატურალისტები ჩამორჩნენ. 4 ნორჩი ნატურალისტი სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეა, მათ შორის: მ. ხუბეჯაშვილი, ნინო ლომკაცი, ლეო ბაღდასაროვი და მ. ელიზბარაშვილი.

რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელობამ სერიოზული მუშაობა გასწია იმისათვის, რომ სტალინური ხუთწლედების განმავლობაში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით რაიონის სოფლის მეურნეობაში მიღწეული შესანიშნავი წარმატებები ღირსეულად ეჩვენებინა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ა. სპეროზაშვილი

თელავი. ზემოალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობა. **სურათზე:** ცხვრის ფარა.

ალ. ჭეიშვილი

იალაღებისაკენ

უცნაურად ხმაურობს მოახლოებული ცხვრის ფარა. ის ხან მოდიდებული ხევის ჩუხჩუხს ჰგავს, გვალვით გულდამწვარ რიყის ქვებში გზას რომ მიიკვლევს, ხან ჭოპოსანისფხიკინივით გაისმის 12000 ჩლიქის ქლასუნი ლორღზე.

აი შემოდგა შაქრიანის ხიდზე ცხვარი, მძიმე ნაბიჯით მოუძღვის ფარას ქეჩა-ნაბადში გახვეული მწყემსი. ორივე ხელით ახლად მოგებული წყვილი ბატკანი აუტატებია.

იღლიაში გამოჩრილი კომბალი მიწაზე მიეთრევა, დაღლილობისაგან ირწევა. წვერებცანცარა ვაცი, ახაფორასავით რომ გაუშლია გრძელი ბეწვი, მწყემსს ზურგზე აბჯენს სატევრებივით ასვეტილ რქებს (შესვენება უნდა, თუ მწყემსს ამხნევებს — გავსწით, ცოტაღა დაგვრჩაო) ვაცის კვალზე ტანი-ტანს მიკრული, თითქოს ერთ სხეულად ქცეული ფარა მოედინება. ზოგჯერ თუ დასცდება ჯარიანობაში დაშორებული ტიკდაშვილივით ცხვარს და ბატკანს ერთდროული ბღავილი და კიკინი. ყურების ბარტყუნით მოაბიჯებენ გარდიგარდმო ნაბდებით დატვირთული სახედრები, გრძლად გაწელილი ფარის დასალიერს კი ქუმლიანი ტომრებით, ხის გობებით, ყველის გუდებით დატვირთული ფურგონი მოგორავს. მის ჩრდილს ენაგადმოგდებული მყეფრები შეჰფარებიან. ბარგში ჩაკრული დაკოჭლებული დედა ცხვარი ნაღვლიანი თვალებით გასცქერის ალაზნის მღვრიე ტალღებს.

შემხვედრმა მანქანამ შუა გაჰყო და შეაჩერა ფარის დინება. დამშეული ცხვარი კუნელის ბუჩქებს შეესია, ბატკნებმა დრო იხელთეს, წამოუჩოქეს და ჯიქნებში დაეძგერენ დედებს. ხარბად სწოვენ, უნდათ მოასწრონ სიცხით და მტვერით გამშრალი ყელის გასველება. სანამ ფარა ისევ დაიძრება.

ეს შირვანის ფარაა, — წამოიშალნენ მწვანეზე გაშოტილი მწყემსები, — დახე, თებერვლის ბატკანი თითქმის დედას უტოლდება. წელს ოქროსავით ბალახი იდგა.

სპარსეთის საზღვრებიდან, საბირაბადის და ყარაღონის რაიონებიდან მოედინება ეს თეთრი ტალღა. რამდენი ჭალა და ველი გადმოლახეს, რამდენი დაბა-სოფელი გამოვლეს ამ მშვიდმა, მუხლმაგარმა ცხოველებმა. და ახლა მათ წინ აზიდულან ალაზნის ველზე ჩამოფენილი მთაგრეხილები.

წინ კიდევ რა გრძელი და მძიმე გზა უდევთ. მალე ცხვარი თოვლით შელესილ მთებს შეუდგება: ნაქერალას, კეპანს, ანდარაზანს ყადორს გადავა, რომ მთა-თუშეთის და დალისტნის იალაღებს მოედოს.

აი ხიდს მოადგა თელავის რაიონის ზემოალვანის, შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობის ელიტა (საჯიშე) ფარა. ცხვარს მოხუცი მწყემსი მოუძღვება. ჩაუქად მოდის, ჟღალი ჩოხის კალთებს მოაფრიალებს. მისი სახე როგორღაც მენაცნობა, თითქოს სადღაც მინახავს.

ეს საჯიშე ფარის ბრიგადირია, ლევან შველაშვილი, ულვაშა ლევანი გამოფენაზე ხომ არ შეგხვედრიათ მოსკოვში, — გახსნეს ჩემი ეჭვები მწყემსებმა.

— ჰო, ახლა მომაგონდა, კი არ შევხვედრივარ, მაგრამ საქართველოს პავილიონში ვნახე მისი სურათი პანოზე გამოხატული. ჩობან ლევანზე წინათაც ბევრი მსმენოდა. ვეკითხები თუ როგორ მუშაობს, როგორი დოლი ჰქონდა წელს.

— მე რა უნდა ვთქვა ჩემს თავზე, ავი ვარ თუ კარგი, ამას ჩემი ამხანაგები იტყვიან, — აუსვ-დაუსვა ლეომ ქოლოს გალოპრილ კომბალს ხელი. ლევან ახლა სამოცდაშვიდი წლისაა, ბალღობიდან ცხვარშია და ამ ზამთარსაც იორის პირას „თუშების სატორგოში", ქოროღლის ციხის პირდაპირ ედგა საჯიშე ფარა.

სილატაკეში გაზრდილს, თავისი კოლმეურნეობის წინსვლა სიამაყით უვსებს გულს.

მეველეები მეკითხებიან, ერთი კვირაა მოედინება შინსახკომის (ზემო ალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობა) ცხვარი, რაა რომ აღარ გამოილიაო. ლეო იგონებს 1930 წელს კოლმეურნეობაში 14 ღარიბი და მოჯამაგირე მწყემსი რომ „შეძმავდა". მაშინ 1200 სული ცხვარი ძლივს შეაქუჩეს. 1939 წლის 1 იანვრისთვის ცხვრის სულადობა მათ ფერმაში 15.916-ზე ავიდა. 1940 წლის 1 იანვარს ფირმაში 17.800 სული ცხვარი ითვლებოდა. 1940 წლის 1 მაისისთვის (დოლის შემდეგ) 23.698. კოლმეურნეთა საპირადო ცხვარის ჩათვლით კი 31.000 სული.

უკვე 8 წლიწადია მუშაობს ლეო საჯიშე ფერმაში. ის უკვე რამბულიეს ყოჩების ნაფერებ ბატკნებზე პირველი და მეორე „გერენაციის" მეტისებზე ლაპარაკობს, მერინოსის მატყლის ხარისხებს არჩევს, ხელოვნურ განერბვის ტექნიკაზე მსჯელობს.

— არ დაიღალე, არ გინდა უფრო მსუბუქ სამუშაოზე გადასვლა?

— ვოროშილოვმაც ეგ მკითხა, გამოფენაზე რომ მნახა. ღიმილით მომიგო ლევანმა.

მოხუცი მწყემსი იგონებს თავის შეხვედრას მარშალ ვოროშილოვთან სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონში.

— ვოროშილოვი ჯერ მე შემომხედავდა, მერე კედელზე გამოხატულ ჩემს სურათს და ფარას. მხარზე ხელი დამადო და მითხრა — აი, ყოჩაღ, ხომ არ მოხუცდი, კიდევ შეგიძლია მწყემსობაო?

— შენ რა უთხარი მერე, — ჩაერია საუბარში ქვემო ალვანის „წითელი თუშეთის" კოლმეურნეობის ფერმის გამგე ივანე ჯიჯურიძე, ლევანმა ულაშებში ჩაიცინა:

„ვინა თქვა ენამც გახმება,
ჩობანი ლევან ბერია,
ცხენს შასჯდებ შავარდენსა ჰგავს
დაუქვეითებს მგელია".

მიულექსა ვილაცამ ლევანს ზემოალვანელ მოხუცზე, ჩობან მაჰაროზე გამოთქმული ლექსი.

— წელს კი აღარ დავრჩები წაუსვლელი, შარშან გამზადებული ვიყავი და ხელი შემეშალა, — ამბობს ლეოს ნაამბობით გახალისებული ივანე ჯიჯურიძე, თვალებზე ჩამოფხატულ წოწოლა ფაფახსქვეშ ალერსიანად რომ უციმციმებს წვრილი ლურჯი თვალები. ჯიჯურიძე საუკეთესო ფერმის გამგეა მთელს რაიონში. მათ ფერმაში წელს საშუალოდ 95 პროცენტით შეინარჩუნეს ბატკანი, მეორე და მესამე ბრიგადაში კი 98 პროცენტით.

ეს იმიტომ, რომ მეორე და მესამე ბრიგადაში **მცნობები** ჰყავთ ბრიგადირებად — ლადო ბექურიძე და ერასტი ბაშინურიძე, — ჩაურთო ვილაცამ.

მოწინავე ადამიანია ზემო-ალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ლენინის ორდენით დაჯილდოებული ანდრო ბორძიკიძე. მას მუდამ რაღაც მორიდებული ღიმილი უკრთის სახეზე.

ანდრო 1930 წელს 14 მოჯამაგირეთაგან შექმნილ კოლმეურნეობის პირველი ორგანიზატორთაგანია. იმ წლებში როცა საკოლმეურნეო ფერმები ახლად იდგამდნენ ფეხს, როცა საკოლმეურნეო ფერმებში შრომის ორგანიზაცია ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყო დაყენებული, ანდრომ მოახერხა თავის ბრიგადაში 100 პროცენტით ბატკნის შენარჩუნება... და უბედნიერესი წუთები მისი ცხოვრებისა, პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელებთან, საყვარელ ბელადთან შეხვედრა 1936 წელს, მეცხოველეობის სტახანოველების შეკრებაზე მოსკოვში, სადაც ის ლენინის ორდენით დააჯილდოეს.

ერთი ცხენი, ორი უღელი ხარი და 1200 სული ცხვარი ჰყავდა კოლმეურნეობის ჩამოყალიბების დროს. ახლა კი ანდრო მთელ საქართველოში ცნობილ, გამოფენაზე დაჯილდოებული კოლმეურნეობის თავმჯდომარეა.

ცხვრის დინება კი არ სწყდება.

ფარა—ფარას მოსდევს. შაქრიანის ხიდს იშვიათად ასცდება ბარიდან მთაში მიმავალი ცხვარი. ახლა ეს ფარები გუნდ-გუნდად, ცალკე „სადროშოებივით" დგებიან ალაზნის პირას.

მიწაში ჩარგულ ვეება ქვაბებს ბოლი ეხვევა და ოშხივარი ასდის. იქვე ხორა-ხორად შეშა მოუზიდავთ. პატარა ბიჭები წყლის საქაჩავს აღრიტინებენ.

უცხო რამე ეგზოტიკის მაძიებელს თავი ხატობაში ეგონება, მაგრამ ეს მხოლოდ ცხვრის აბანოს ახურებენ, ღრეობისათვის აქ არავის სცალია. შირვანიდან და შირაქიდან ამოსულ ცხვარს იალაღებზე გარეკის წინ აქ კრეოლინის აბაზანაში აბანებენ ყუთურისგან (ქეცისაგან) რომ დაიცვან. ამიტომ ტრიალებენ აქ რაიმიწგანის ზოოტექნიკოსები, ვეტერინარები, კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, ფერმის გამგეები. აბაზანა მარტივათაა მოწყობილი, გზის პირას ქვითკირით ამოყვანილი, არხია გამართული, კრეოლინის რძისფერი ხსნარით პირამდე სავსე. არხის ორივე ბოლოში ბაკებია მოღობილი, ახლა მკლავებ დაკარწახებული, ჩოხის კალთებაკეცილი მწყემსები ყურთასმენის წამღები ყიჟინით, შოლტების ტლაშუნით და ერთი წიოკით მოერეკებიან ცხვარს ბაკისაკენ.

უკვე ისე გაიჭედა ბაკი, რომ ცხვარს მოსაბრუნებელი აღარ აქვს. კარები ჩაჰკეტეს და ახლა აბაზანისაკენ მიერეკებიან. აქ კი ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა იმართება ცხვრებსა და მწყემსებს შორის. მწყემსები დუმაში და რქებში დაავლებენ ცხვარს ხელებს და აბაზანისკენ მიჰყავთ ატატებული. აი პირველმა ჭედილამ ტყაპანი მოადინა რძისფერ მდინარეში, მას მიჰყვნენ შიშაქები, თოხლები, დედაცხვრები, ყოჩები, ბატკნები. აუზი ღრმაა, ცხვარი ფსკერს ვერ სწვდება ფეხით, ცურვით უნდა გავიდეს გაღმა. იქაურობას აყრუებს შეშფოთებული, გაგუდული ბღავილი და კიკინი. არხის პირას ჩამდგარ მწყემსებს შეჰღაღადებენ—გვიშველეთ, გადაგვარჩინეთო. მწყემსებს კი ორთითები უჭირავთ ხელში. შველის ნაცვლად ჯერ თავს ჩააკვრევინებენ აუზში, რომ კრეოლინი ყველგან მოეკიდოს და შემდეგ კი რქების ძირში მიაბჯენენ ორთითს და გაღმა გასვლაში შველიან.

— მეე! მეე!—მე!—აირია ერთმანეთში ცხვრის ბღავილი და ბატკნის კიკინი.

სულ შენ და შენ! ნახევარი ჩვენ! —აჯავრებენ ცხვრებს მწყემსები.

— ნახევარიც თქვენია და მთელიც,—გაესიტყვა მწყემს რაიმიწგანის ზოოტექნიკოსი ბურდული, — რა მოგცათ შარშან ცხვარმა?

შარშან ზემოალვანის შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობამ 1.027.641 მანეთი შემოსავალი მიიღო და აქედან ცხვარმა 869.847 მანეთი შემოიტანა, — ჩამოერივნენ საუბარში ბუხჰალტრები.

ბუხჰალტრებმა კოლმეურნეობის მთელი შემოსავალ-გასავალი გადმოალაგეს. შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობაში შარშან შრომადღეზე ან როგორც აქ ამბობენ „კაცდღეზე" 7 მან. და 76 კ. დარიგდა ფულად, ნატურით კი—600 გრამი ხორცი, 406 გრ. ყველი და 1600 გრამი მარცვალი (რაც საკუთარი ცხვრიდან შემოუვიდათ კოლმეურნეებს, ის კიდევ სხვაა). სახელმწიფოს კოლმეურნეობამ 908 ცენტნერი ხორცი და 46.536 კილო მატყლი ჩააბარა. შინსახკომის სახელობის კოლმეურნეობა პირველი კოლმეურნეობაა საქართველოში, რომელიც 1940 წელს მარტო მატყლისაგან ერთ მილიონ მანეთს მიიღებს.

დილით გაბანილი ფარები უკვე დაიძრნენ მთისკენ. მძიმე და სახიფათოა თოვლით შელესილ მთებზე გადასვლა, მაგრამ თუში მეცხვარე არ დაზარდება და არც ხიფათს შეუდრკება, ოღონდ საყვარელ პირუტყვს საკვები არ მოაკლდეს.

მეორე დღეს ქვემო ალვანში ვართ. მზის პირველი სხივი თოვლით შელესილ მწვერვალებს გაერთხა და თვალის მომჭრელად აბრჭყვიალა. კოლმეურნეობის კანტორის წინ ხალხი ჯგუფდება. ყველას ნაქერალას გადასასვლელისათვის მიუპყრია თვალი. გამოცდილი ალპინისტებისათვისაც არ არის ადვილი ახლა ნაქერალაზე გადასვლა. პირველი ბრიგადის ხუთი მწყემსი კი ახლა იქ ათასხუთასიან ფარას მიერეკება თოვლზე. აქ შეგროვილი კოლმეურნეების თვალი და გული მათ მისდევს. თითქოს აქედან ამხნევებენ.

მალე ბარის თუშეთის მცხოვრებთა დიდი ნაწილიც აიყრება, ქალი და ბავშვი მთის გზას შეუდგება, ზაფხულს მთაში გაატარებენ და სექტემბერში ისევ დაიწყება წრებრუნვა—სახარე, ორწყალი, მელიკუდა, ლეკთვაკე, ნაბრძოლი, შაქრიანის აბანოები, შირაქი, კახი, ნუხა. ევლახი, ალდაში გეოგჩაი, ქურდამირი, ყარაღონი, საბირაბადი.

ალვანის ფართო ქუჩებს მივყვებით, მარჯვნით გაიხედავთ თუ მარცხნივ, აივნებზე პირაშმულ საქსოვ დაზგებთან „აკაზმებთან" ქალები ჩაცუცქულან. ყველგან თუშურ ნოხებს, „ფლასებს" (ფარდაგებს), შალებს, ხურჯინებს საუნაგირე ჩულებს ქსოვენ. ბაღ-ვენახებში მიმავალი ქალებიც გამალებით მიიქსოვენ წინდებს. ყველა სახლის წინ ჯარა ბრუნავს და თუში ქალებიც მთელი დღე ჯარასავით ტრიალებენ.

კოხტა, ორსართულიანი აგურის სახლები, ოთხ-ექვს და ზოგჯერ რვა ნათელ, ფართე კარ-ფანჯრებიან ოთახებისგან შესდგება. ხის აჟურული ჩუქურთმებით, ყათარმებით მორთულ აივნებს რაჭველი ოსტატების ხელი ამჩნევია, ზოგი სახლი დასრულებულია, ზოგი ჯერ კიდევ ხარაჩოებში დგას. ეზოებში ხორა-ხორად დგას ქვა და აგური.

ფართო და სწორი ქუჩები, ლენინგრადის ქუჩებს რომ მოაგონებს კაცს, საინჟინრო გეგმითაა გამართული და ქუჩებსაც აქ „პლანებს" ეძახიან. სანიმუშო სისუფთავეა ქუჩებში და ხეხილით, დეკორატიულ მცენარეებით მორგულ ეზოებში.

ერთი კოლმეურნისას შევუხვიეთ. სახლშიც მოსჩანს დაუცხრომელი თუში ქალის ხელი, ყველაფერი კრიალებს. ახალი საწოლების გამირები, შიფონიერის სარკე, ბუფეტის კარის სახელურები, პატეფონის ალისფერი ბუდე, კედლებს თუშური, წითელ-ყვითელ-ცისფრად დაჭრელებული ნოხები ამშვენებს. კარადის თავზე დართული ძაფის. „დულუკების" (გორგლების) ბორცვია შედგენილი. ცხრა სელის სკამი მრგვალი მაგიდის ირგვლივაა ჩამწკრივებული, კუთხეში მიდგმული ორი ცხრა კი ერთიმეორეზე თავბოლო შექცევით შეწყობილი.

არ ვიცი დიასახლისი დატრიალდა ასე ჩქარა, თუ ქათამმა გაიგო, რომ გვეშურებოდა და სუფრაზე ჩახოხბილად შემოფრინდა, ბატკანიც დაგვესტუმრა მწვადად, ხინკლად და ყაურმად. დედა-ცხვარიც ჩამოვიდა ფსონში ხაჭოთი და ყველით. მასპინძელმა კი შორსმოვლით დაიწყო სადღეგრძელოები. ფარების თოვლიან მთებზე მშვიდობით გადასვლაზე სთქვა, გულად მწყემსზე და ერთგულ კოდისდედაზე, (ყველის მომზადების ოსტატზე) „კაცდღის" (შრომადღის) წონის და საკოლმეურნეო შრომის ბარაქის ზრდაზე. მთაში და ბარში „შეძმავებულ" ხალხთა ბრძენ და საყვარელ ბელადზე. თითქოს რადიოც ჩამოერია ჩვენს ლხინში და, მემბრანის ჟღარუნს ამოჰყვა ხალხის მოსიყვარულე გულიდან ამომსკდარი სიტყვები:

„შენ მოგვიპოვე ცხოვრება
შექმენი ოქროს ხანაო..."

მაისი 1940 წ. თელავი.

მკითხველთა დასახმარებლად

ხმელთაშუა ზღვის ომის ასპარეზი

ომში იტალიის ჩაბმის შემდეგ ხმელთაშუა ზღვის აუზი საომარი მოქმედების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ასპარეზად იქცევა.

ხმელთაშუა ზღვა ერთმანეთთან აკავშირებს დედამიწის სამ მატერიკს — ევროპას, აზიასა და აფრიკას. მისი სამხრეთი (აფრიკის) ნაპირი ნაკლებად დასერილი და ღიაა; მოპირდაპირე (ევროპის) ნაპირი უაღრესად დასერილი და უსწორმასწოროა. ხმელთაშუა ზღვის სიგრძე გიბრალტარიდან სუეცამდე 3.600 კილომეტრს უდრის. ზღვის მაქსიმალური სიგანეა 1.600 კილომეტრი, საშუალო სიგანე — დაახლოებით 600 კილომეტრი. ყველაზე ვიწრო სივრცეა (144 კილომეტრამდე) სიცილიიდან ტუნისის სანაპირომდე.

ხმელთაშუა ზღვაში დიდიხანია ბატონობს დიდი ბრიტანეთი, რომელმაც უკვე XVIII საუკუნის დამდეგიდან დაიწყო სავასალებო პოზიციების დაპყრობა ხმელთაშუა ზღვის აუზში. უტრეხტის 1713 წლის ზავის ძალით მან მიიღო გიბრალტარი, რომელიც ჯერ კიდევ 1704 წელს დაიკავა. ვენის 1815 წლის კონგრესმა მას საბოლოოდ დაუმკვიდრა მალტა. 1875 წელს ლორდმა ბიკონსფილდმა (დიზრაელიმ), ისარგებლა რა ეგვიპტის ქედივის გაკოტრებით, ყოველგვარი კომბინაციების გზით ხელთ იგდო სუეცის არხის აქციების უმეტესობა. 1878 წელს მანვე, თურქეთისათვის დაპირებული „გარანტიების" სანაცვლოდ, უკანასკნელისაგან მიიღო კუნძული კვიპროსი. 1882 წელს ინგლისმა მოახდინა ეგვიპტის ოკუპაცია. მკვიდრ მცხოვრებთა ამოჟლეტის შემდეგ დაპყრობილ იქნა ინგლის-ეგვიპტის სუდანი. ამგვარად დიდმა ბრიტანეთმა ხმელთაშუა ზღვაში შექმნა დასაყრდენი პუნქტების ქსელი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ მის ბატონობას ევროპიდან აზიასა და აფრიკაში მიმავალ ამ უმნიშვნელოვანეს კომუნიკაციებზე, ბრიტანეთის ინდოეთის მისასვლელებზე.

პირველი იმპერიალისტური ომის შემდეგ ინგლისი ერაყში გაბატონდა და ხელთ იგდო ნავთის უმდიდრესი საბადოები მოსულის რაიონში. მძლავრი ნავთსადენებით მოსულის ნავთი სირიის ნავსადგურ ტრიპოლში და პალესტინის ნავსადგურ ჰაიფაში მიდის. მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისს გადაეცა ერთა ლიგის მანდატები პალესტინასა და ტრანსიორდანიაზე, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა მისი მდგომარეობა ხმელთაშუა ზღვაში.

ამჟამად ეს ზღვა წარმოადგენს დასავლეთ ევროპის ყველა დიდი სახელმწიფოს კომუნიკაციების უმნიშვნელოვანეს კვანძს. აქ გადის ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, პორტუგალიისა და სხვა ქვეყნების სავაჭრო გზები. ამ კომუნიკაციებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხმელთაშუა ზღვიდან გამოსასვლელებს — გიბრალტარსა და სუეცის არხს.

სუეცის არხით გადის ინდოეთის ექსპორტის 70 პროცენტი, ავსტრალიის ექსპორტის 50 პროცენტი და მისი იმპორტის 25 პროცენტი, ახალი ზელანდიის ექსპორტის 80 პროცენტი. აშკარაა, რომ თავის უმნიშვნელოვანეს სამფლობელოებთან დიდი ბრიტანეთის ურთიერთობისათვის სუეცის არხი უდიდეს როლს ასრულებს.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იტალიისათვის ხმელთაშუა ზღვას, ეს თუნდაც იმ ფაქტიდან ჩანს, რომ იტალიის მთელი იმპორტის დაახლოებით 85 პროცენტი, მათ შორის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ნედლეული, საზღვაო გზით შემოდის. იტალიის ნავსადგურებში მიმავალი ტვირთის უმეტესობა გიბრალტარში გადის. იტალიის მრეწველობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია გიბრალტარიდან შემოსული ნედლეულის იმპორტზე.

მეომარი სახელმწიფოების ძალთა განლაგება და დასაყრდენი პუნქტების განაწილება ხმელთაშუა ზღვაში ასეთია: ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს ინგლისის სამხედრო-საზღვაო ბაზა კვიპროსის კუნძულზე (ანექსირებულია ინგლისის მიერ მსოფლიო ომის დასაწყისში). კუნძულს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი წარმოადგენს ბრიტანეთის სტრატეგიული ხაზის გიბრალტარ-მალტის გაგრძელებას და დასაყრდენ პუნქტს პალესტინა-ეგვიპტის ხაზზე, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სუეცის არხის დასაცავად. კუნძულ კვიპროსის ტერიტორია უდრის 9.282 კვ. კილომეტრს. მცხოვრებთა რაოდენობა — 348 ათას კაცს. კვიპროსის მთავარი ქალაქია ნიკოსია, რომელშიაც 24 ათასი მცხოვრებია. სამხედრო-საზღვაო ბაზა ფამაგუსტაში დაახლოებით 10 ათასი მცხოვრებია.

დიდი ბრიტანეთის ბაზები ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ძლიერ გამაგრებულია. სტრატეგიული სამკუთხედი კვიპროსი — ჰაიფა—ალექსანდრია წარმოადგენს მძლავრ სამხედრო-საზღვაო სიმაგრეთა ზონას, რომელნიც იცავენ პალესტინას, სირიასა და ეგვიპტეს.

ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ უბანზე იტალიის სამხედრო-საჰაერო და საზღვაო ბაზების სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დოდეკანეზის კუნძულებს. ეს არის 12 შედარებით მცირე კუნძულისაგან შემდგარი ჯგუფი. ეს კუნძულები ამ ბოლო დროს იტალიამ ძლიერ გაამაგრა. სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ბაზები დოდეკანეზის ყველაზე დიდ კუნძულზე — როდოსზე უმთავრესად დანიშნულია ბრიტანეთის ბაზის ნეიტრალიზაციისათვის კვიპროსის კუნძულზე.

ხელსაყრელი სტრატეგიული პოზიციები უკავია იტალიის ფლოტის მთავარ ბაზას ტარანტოს. ალბანეთის ბაზებთან — ვალონასთან, დურაცოსთან და სანტა-კურანტასთან ერთად ამ ბაზის გამოყენებით იტალიას შეუძლია ჩაჰკეტოს ოტრანტოს სრუტე. ამით ადრიატიკის ზღვა მიუწვდომელი ხდება მოკავშირეთა ფლოტისათვის, ხოლო იტალიის ფლოტს საშუალება ეძლევა თავისუფლად იმოქმედოს იონიის ზღვაში.

ის გარემოება, რომ ტარანტო მოკავშირეთა უმნიშვნელოვანესი კომუნიკაციების ახლოს მდებარეობს, იტალიის ფლოტს საშუალებას აძლევს აქტიური ოპერაციები აწარმოოს ინგლისისა და საფრანგეთის უმნიშვნელოვანეს საზღვაო გზებზე. მოკავშირეთა ფლოტების ოპერაციისათვის ხმელთაშუა ზღვის ამ ნაწილში არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენს იტალიის სამხედრო-საზღვაო ბაზები კუნძულ სიცილიაზე (მესინა, აუგუსტა, სირაკუზი).

ამ ბოლო დროს იტალია დიდ ყურადღებას აქცევდა თავისი ბაზების განვითარებას ლიბიაში (ტობრუკი, ტრიპოლი, ბენგაზია). იტალიამ გაამაგრა აგრეთვე მეწამულ ზღვაზე მდებარე ნავსადგური ასაბი.

მაგრამ ყოველივე ეს იტალიას ჯერ კიდევ არ აძლევს გადამწყვეტ უპირატესობას ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. დიდმა ბრიტანეთმა ომის დაწყების შემდეგ გაძლიერებული საომარი მზადება დაიწყო ეგვიპტეში, პალესტინასა და სხვა ადგილებში. პალესტინაში დაბანაკებულია ავსტრალია-ახალი ზელანდიის კორპუსი, და დამატებით მობილიზებულია კიდევ 40.000-მდე კაცი. ეგვიპტეში არის ინგლისის 10 ათასიანი გარნიზონი და ეგვიპტელთა ადგილობრივი ჯარი. საფრანგეთის სამხედრო ძალები ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, უცხოეთის პრესის ზოგიერთი ორგანოს აზრით, 150-200 ათას კაცს შეადგენენ.

ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ ნაწილში იტალია გამაგრდა ტუნისის სრუტეში, სადაც მან შექმნა გამაგრებული ბაზა პანტელერიის კუნძულზე. ამგვარად, იტალიას საშუალება ეძლევა შესწყვიტოს მიმოსვლა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს შორის და მოსწყვიტოს საფრანგეთი და ინგლისი მათს სანედლეულო წყაროებს ახლო აღმოსავლეთში: ნავთის წყაროებს — ერაყში და ბამბისას — ეგვიპტეში. საფრანგეთს, რომელიც თავისი ნავთის 42 პროცენტს კირკუკიდან (მოსული) იღებს, ეს დიდი გართულებებით ემუქრება.

სიცილიის სამხრეთით მდებარეობს ხმელთაშუა ზღვის ინგლისის ძირითადი სამხედრო ბაზა მალტა. სტრატეგიული მნიშვნელობა მალტისა, რომელიც გიბრალტარიდან ეგვიპტეში მიმავალ გზაზე მდებარეობს, უდიდესია. კუნძულის ფართობი 246 კვ. კილომეტრს უდრის. კუნძულის მთავარი ქალაქი და ნავსადგური არის ლა-ვალეტა.

საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ბაზებმა ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში (ტულონი საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში, ორანი, ალჟირი და ბიზერტა აფრიკის ჩრდილო სანაპიროზე) უნდა დაიცვან მეტროპოლიიდან ალჟირსა, ტუნისსა და მაროკოში მიმავალი კომუნიკაციები.

ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში საფრანგეთის მთავარი სამხედრო ნავსადგურია ტულონი. ალჟირისა და ტუნისის გაღმა სანაპიროებზე მდებარეობენ საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ბაზები ორანი და ალჟირი და უდიდესი ოპერატიული ბაზა ბიზერტა (ტუნისი). კორსიკის კუნძულზე მდებარე დასაყრდენი პუნქტები (აიაჩო და ბონიფაჩო) შეიძლება გამოყენებულ იქნას იტალიის სამრეწველო რაიონებზე (ტურინი, მილანი, გენუა) თავდასხმის ბაზებად. საფრანგეთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ რკინიგზას, რომელიც ტუნისიდან საფრანგეთის მაროკოზე გავლით ატლანტიკის ოკეანის სანაპიროებისაკენ მიდის. ეს გზა საშუალებას აძლევს საფრანგეთს იქონიოს კავშირურთიერთობა აფრიკის კოლონიებთან ატლანტიკის ოკეანის მეშვეობით ისე, რომ ხმელთაშუა ზღვა არ გაიაროს.

ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში არის ინგლისის სამხედრო-საზღვაო ბაზა გიბრალტარი, რომელიც მდებარეობს ხმელთაშუა ზღვიდან ატლანტიკის ოკეანეში გასასვლელთან. სამი მხრიდან გიბრალტარს ზღვა აკრავს, ხოლო მეოთხე მხრიდან ვიწრო ყელით უერთდება ესპანეთის ნაპირს. გიბრალტარის ფართობი 5 კვ. კილომეტრს უდრის. კარგად მოწყობილი ნავსადგური იტევს დაახლოებით 12 სახაზო გემს მნიშვნელოვანი მსუბუქი ძალებითურთ.

გიბრალტარის სიმაგრე შეიარაღებულია მძლავრი მძიმე და საზენიტო არტილერიით. სამხედრო ნავსადგური ძლიერ არის გამაგრებული და დაცული წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ ბადური და სხვა ღობურებით. ნავსადგურის ირგვლივ მთელი რაიონი დანაღმულია.

იტალიის სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ძალები ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში ეყრდნობიან სტრატეგიულ სამკუთხედს — ბალეარის კუნძულები — სარდინია — სიცილია. სარდინიის ბაზები ლა-მადალენსა და კალიარში სიცილიის ბაზა ტრაპანთან და იტალიის სამხედრო ნავსადგურ სპეციასთან ერთად უზრუნველყოფენ იტალიის ბატონობას ტირენის ზღვაში.

ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში დიდ როლს ასრულებენ ესპანეთის სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ბაზები. ესპანეთის სამხედრო ძლიერება, რაც სამოქალაქო ომმა შეარყია, უკანასკნელ დროს მეტისმეტად დასუსტდა. მაგრამ ესპანეთის ტერიტორია ყველაზე მოხერხებულ პლაცდარმს წარმოადგენს მოკავშირეთა კომუნიკაციების წინააღმდეგ საბრძოლველად ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში. ესპანეთის უკიდურესი სამხრეთი ნაწილიდან ყველაზე უფრო მოსახერხებელია გიბრალტარზე თავდასხმის განხორციელება.

სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ბაზები ესპანეთის აღმოსავლეთ სანაპიროზე (ბარსელონა, კარტახენა, მალაგა) იტალიის იმ ბაზებთან ერთად, რომლებიც ბალეარის კუნძულებსა და სარდინიის კუნძულზე მდებარეობენ, დიდ საფრთხეს წარმოადგენენ საფრანგეთის სამხრეთ ნაწილის ნავსადგურებისათვის. ამას გარდა, საფრანგეთის კუნძული კორსიკა, სადაც საფრანგეთის სამხედრო ბაზები მდებარეობენ, ამ პირობებში სუსტი პუნქტები ხდებიან საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ბაზების სისტემაში.

იტალიასთან შედარებით ინგლის-საფრანგეთის ბლოკის უპირატესობას ის გარემოება წარმოადგენს, რომ მას შეუძლია სწრაფად შესცვალოს თავისი მიმოსვლა კოლონიებთან და გვერდი აუაროს ხმელთაშუა ზღვას. იტალია კი მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია თავისი ხმელთაშუა ზღვის კომუნიკაციებზე. დიდ ბრიტანეთს შეუძლია დახუროს გიბრალტარი და სუეცის არხი არამარტო ხმელთაშუა ზღვიდან, არამედ ატლანტიკის ოკეანისა და მეწამული ზღვის მხრიდანაც.

როგორია მოკავშირეთა და იტალიის შეიარაღებული ძალების თანაფარდობა ხმელთაშუა ზღვაში?

ხმელთაშუა ზღვაში იტალიის სამხედრო პოზიციების საფუძველს წარმოადგენს მისი სამხედრო-საზღვაო ფლოტი და ავიაცია. იტალიის ფლოტი შესდგება 6 სახაზო გემისაგან, რომელთაგან თვითეულის წყალწყვა 35 ათას ტონას უდრის (იტალიის პრესის გადმოცემით, უახლოეს დღეებში უნდა ჩაუშვან წყალში კიდევ 2 სახაზო გემი ასეთივე წყალწყვისა), 7 მძიმე კრეისერისაგან, რომელთაგან თვითეულის წყალწყვა 10.000 ტონას უდრის, 14 მსუბუქი კრეისერისაგან, 5-8 ათასი ტონა წყალწყვისა თითო, დაახლოებით 60 საესკადრო ნაღმოსნისაგან და 100-ზე მეტი წყალქვეშა ნავისაგან.

იტალიის სამხედრო - საჰაერო ფლოტი შესდგება დაახლოებით 4.000 თვითმფრინავისაგან, აქედან საზღვაო ავიაციის 500 თვითმფრინავი სხვადასხვა ტიპისაა.

მოკავშირეებმა სამხედრო-საზღვაო ძალები ხმელთაშუა ზღვაში უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად გაადიდეს. ინგლისმა ხმელთაშუა ზღვაში გაჰგზავნა 5 სახაზო გემი, საფრანგეთმა — 2 სახაზო გემი. მოკავშირეთა იმ სახაზო გემების საერთო რაოდენობა, რომლებიც თავმოყრილია ხმელთაშუა ზღვაში, 10 აღწევს. ამას გარდა, მოკავშირეებს ჰყავთ 15 მძიმე კრეისერი, ნაღმოსანთა რამდენიმე ფლოტილია და დაახლოებით 40 წყალქვეშა ნავი. დასავლეთ ევროპის საომარი მოქმედების ასპარეზზე შექმნილი დაძაბული ვითარების გამო, მოკავშირეებისათვის მეტისმეტად გაძნელებულია ფლოტის მნიშვნელოვანი დამხმარე ძალების მიღება. უკეთეს შემთხვევაში ინგლისს შეუძლია ხმელთაშუა ზღვაში გაჰგზავნოს კიდევ 2-3 სახაზო გემი, 3 კრეისერი და 2 ავიამზიდი.

ხმელთაშუა ზღვაში მეომარი ქვეყნების სამხედრო ძალთა განაწილება და საოპერაციო ბაზების განლაგება ისეთია, რომ მხოლოდ დაძაბულ ბრძოლას და ინიციატივიან მოქმედებას შეუძლია გადასჭრას ომის ბედი ამ ახალ პლაცდარმზე. (საკდესი).

ხმები იმის შესახებ, რომ საფრანგეთში განწყობილი არიან გერმანიასთან სეპარატული ზავის დადების სასარგებლოდ

ნიუ-იორკი, 13 ივნისი (საკდესი). ნიუ-იორკის გაზეთი „დეილი ნიუსი" გადმოგვცემს, თითქოს ამერიკის პარიზელ ელჩს ბულიტს ეცნობებინოს, რომ საფრანგეთის უმაღლესი სარდლობა გერმანიასთან სეპარატული ზავის დადების მომხრეა, მაგრამ რეინო ამის წინააღმდეგია.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი უარჰყოფს ბულიტისაგან ასეთი ცნობის მიღებას.

„დეილი ნიუსის" აზრით, იტალია ამ ომში უწინარეს ყოვლისა, ეცდება მიაღწიოს თავის ძირითად მიზანს — საფრანგეთის განადგურებას, რის შემდეგაც მისთვის ადვილი იქნება მეორეხარისხოვანი მიზნების მიღწევა. გაზეთი ფიქრობს, რომ შემდგომი დიდი მოვლენა იქნება საფრანგეთის მიერ სეპარატული ზავის დადება.

საფრანგეთის ბანკის ევაკუაცია

ლონდონი, 14 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის ბანკი პარიზიდან გადაიტანეს ქალაქ სომიურს, რომელიც მდინარე ლუარაზე მდებარეობს.

მოკავშირეთა მიერ სამხედრო საჭურვლის შესყიდვა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ტური, 13 ივნისი (საკდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს, რომ უახლოეს მომავალში მოკავშირეები მიიღებენ დიდძალ ამერიკულ სამხედრო საჭურველს. „იუნაიტედ სტეიტს სტილ კორპორეიშენი" იუწყება, რომ მოკავშირეებმა შეისყიდეს შორსმსროლი ქვემეხები, ავტომატური იარაღი და საომარი მასალა, რომელთა საერთო ღირებულება 37,5 მილიონ დოლარს უდრის.

გ. ლეონიძის პოემის საჯარო განხილვა

გ. ლეონიძის ეპოპეის „სტალინი" პირველი ნაწილის („ბელადის ბავშვობა და ყრმობა") საჯარო განხილვამ, რომელიც პლეხანოვის კლუბში მოეწყო „კომუნისტის" რედაქციისა და სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის პარტკომის ინიციატივით, დიდი ინტერესი გამოიწვია. განხილვას დაესწრნენ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის, თბილისის საორთქლმავლო დეპოს სტახანოველები და მუშა-მოსამსახურენი და ლენრაიონის მშრომელები. სხდომა გახსნა გაზეთ „კომუნისტის" ლიტერატურისა და ხელოვნების განყ. გამგემ ამხ. ბ. აბულაძემ.

ვრცელი მოხსენებით განსახილავი ნაწარმოებისა და საერთოდ გ. ლეონიძის შემოქმედების შესახებ გამოვიდა მწერალი შალვა აფხაიძე. მომხსენებელმა ილაპარაკა გ. ლეონიძის პოეტური გზის შესახებ და დაწვრილებით განიხილა პოემის „ბელადის ბავშვობა და ყრმობა".

დიდი ინტერესით შეხვდა დამსწრე საზოგადოება სტალინის სიყრმის მეგობრებს ორდენოსანს პ. კაპანაძეს და დ. გოგოხიას, რომლებმაც საინტერესო სიტყვები წარმოსთქვეს. ამხ. პ. კაპანაძემ დაწვრილებით ილაპარაკა იმდროინდელი გორის, მაშინდელი ყოფა-ცხოვრების, ბელადის ბავშვობისა და ყრმობის შესახებ, შეადარა მაშინდელი სინამდვილე გ. ლეონიძის ნაწარმოებში მოცემულ აღწერას და მთელი რიგი მაგალითებით დაასაბუთა, რომ პოეტს მაშინდელი გორი და გორელთა ყოფა-ცხოვრება სწორად აქვს ასახული.

ამხ. პ. კაპანაძემ დაასკვნა, რომ მაშინდელი სინამდვილე და ბელადის ბავშვობის სურათები ისეა გ. ლეონიძის ეპოპეაში აღწერილი, თითქოს პოეტი იმ დროს იქ ყოფილიყოს, საკუთარი თვალით ენახოს.

ლენინის რაიონული საბჭოს დეპუტატმა მარო ჩომახიძემ აღფრთოვანებით აღნიშნა ის დიდი შთაბეჭდილება, რომელიც „ბელადის ბავშვობამ და ყრმობამ" მასზე მოახდინა. მან პოეტს უსურვა ეპოპეის დანარჩენი ნაწილების ისეთივე მაღალოსტატობით დაწერა, როგორც პირველი ნაწილია.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველმა ა. ზაალიშვილმა განაცხადა, რომ გ. ლეონიძის პოემის საჯარო განხილვის მოწყობამ დიდათ დააინტერესა ქარხნის მუშა-მოსამსახურენი, საამქროებში წინასწარ მოეწყო პოემის კოლექტიური წაკითხვა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. „ბელადის ბავშვობამ და ყრმობამ" საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა მუშებზე. მშვენიერი ლექსით დაწერილი ნაწარმოები გულწრფელი სიყვარულით აგვიწერს დიდი ბელადის ბავშვობის წლებს, გარემოს, რომელშიაც ის იზრდებოდა.

ახალგაზრდა პოეტის ამხ. მაჭარაძის გამოსვლის შემდეგ, რომელმაც აღნიშნა გიორგი ლეონიძის პოეტურ სახეთა სიმდიდრე და ლექსის ხალხურობა, სიტყვით გამოვიდა კრიტიკოსი ბესო ჟღენტი. მან აღნიშნა, რომ გ. ლეონიძის პოემა მნიშვნელოვანი მოვლენაა საბჭოთა პოეზიაში. მისმა ავტორმა დაამტკიცა, რომ იგი პეიზაჟის შესანიშნავი ოსტატია; სწორად აქვს ასახული ეპოპეაში ქართლის ისტორია, მისი ეთნოგრაფია. ბელადის ყრმობის პორტრეტი დახატულია დიდი სიყვარულით.

საღამო დამთავრდა პოეტ გ. ლეონიძის გამოსვლით, რომელმაც წაიკითხა ორი ნაწყვეტი ეპოპეის პირველი ნაწილიდან. დამსწრე საზოგადოებამ პოეტი მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

„მზიურ საქართველოში"

მოსკოვი, 13 ივნისი (საკდესი). კარტოგრაფიულმა მრეწველობამ დასაბეჭდად გადასცა ტურისტთა რუკა „მზიურ საქართველოში". იგი აღნიშნავს ამხანაგ **სტალინის** ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ადგილებს, ისტორიულ ძეგლებს, საქართველოს სამხედრო და ოსეთის სამხედრო გზების მარშრუტებს, ტურიზმისა და ალპინიზმის ყველა განსაკუთრებით საინტერესო ობიექტს. რუკის მეორე მხარეზე მოთავსებულია სხვადასხვა საცნობარო მასალა ტურისტისათვის და ქალაქ თბილისის გეგმა.

რუკა „მზიურ საქართველოში" დაიბეჭდება ლენინგრადის კარტოგრაფიულ ფაბრიკაში და გამოვა სექტემბერში.

რომან „წყნარი დონის" მეოთხე წიგნი

მოსკოვი, 13 ივნისი (საკდესი). სახელმწიფო გამომცემლობა „მხატვრულმა ლიტერატურამ" გამოსცა მიხეილ შოლოხოვის რომანის „წყნარი დონის" მეოთხე, უკანასკნელი წიგნი. მისი ტირაჟი 200 ათასი ეგზემპლარია. ჯერჯერობით გამოშვებულია 50 ათასი.

პატარა ფელეტონი

ცერცვი კედელს!

მკითხველებს ეხსომებათ, რა სიკეთეც გვიყვეს კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის მუშაკებმა, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენასთან დაკავშირებით მოსკოვიდან თვითმფრინავით გამოგზავნილი სასწრაფო მასალა კუს რომ აჰკიდეს ზურგზე და ერთი კვირის შემდეგ ჩაგვაბარეს.

იმდენად მოუთმენელი გახდა ეს ამბავი ჩვენთვის, ჩვენთვის კი არა—საქმისათვის, რომ საჭიროდ ვცანით ამ ფაქტის პრესაში გამოტანა და დავბეჭდეთ პატარა ფელეტონი სათაურით „ვისარგებლებთ, ოღონდ გვასარგებლეთ".

გვეგონა, იმის განმარტება არ დაგვჭირდებოდა კავშირგაბმულობის მუშაკებისათვის, რომ გაზეთში სტატია იმისათვის კი არ იბეჭდება, რომ ვინმე წერითი ვარჯიშით იყოს გატაცებული. გვეგონა, რომ კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატი ყურადიღებდა ჩვენს სიგნალს, გამოიძიებდა საქმეს, დამნაშავეთ სასჯელს დაადებდა და დასახავდა ღონისძიებებს მუშაობის გარდასაქმნელად.

ფიქრი არა გაქვთ! აყარეთ ცერცვი კედელს! ჯერ პასუხიც არ გაუციათ ჩვენს წერილზე, ხოლო რაც შეეხება მუშაობის გარდაქმნას, ამის საბუთებს აქვე ჩამოგითვლით.

14 ივნისი გვაძლევს იშვიათ ნიმუშს იმისას, თუ როგორ „გარდაქმნა" კავშირგაბმულობის სისტემამ თავისი მუშაობა. ეს იშვიათი დღეა. პირდაპირ მზად ვართ ის ისტორიულ თარიღად მივიჩნიოთ და ვუწოდოთ მას კავშირგაბმულობის თუ კავშირმოშლილობის დღე. ჩვენ შეგვიძლია ამ დღეს ვუძღვნათ გამოფენაც ნაირ-ნაირი ექსპონატებით.

ექსპონატები უამრავი გვაქვს. რად ღირს, მაგალითად, აი ეს პაკეტი. მოსკოვიდან ის ჩვენთვის გამოუგზავნია საკუთარ კორესპონდენტს თვითმფრინავით 7 ივნისს, მივიღეთ 14 ივნისს, და არ იკითხავთ რა სახით? პაკეტს დაკარგული აქვს პაკეტის ფორმა, მტვრის საწმენდ ჩვარს უფრო წააგავს. პაკეტით, როგორც ჩანს, გამოუგზავნია წერილები და გამოფენის მონაწილეთა ჯგუფის სურათები, რომელზედაც ზოგის თავია დარჩენილი, ზოგი ყაყრანტოშია გადაგლეჯილი, ზოგს ცალი თვალი აქვს შერჩენილი, ზოგსაც ცალი ყური.

ამხ. ვ. ჯაფარიძეს ავიაფოსტით გამოუგზავნია 3 ივნისს სტატია. მივიღეთ 14 ივნისს, ესე იგი 11 დღის შემდეგ. დაგელოცათ ტემპები!

მას მოჰყვა ბაქოდან 3 ივნისს გამოგზავნილი დაზღვეული წერილი. ისიც 14 ივნისს მივიღეთ, ესე იგი 11 დღის შემდეგ. ამის გამოფენა შეიძლება სტენდზე წარწერით „ფეხოსანი ფოსტა". ამავე დღეს მოგვართვეს 7 ივნისს მოსკოვიდან საკუთარი კორესპონდენტის მიერ თვითმფრინავით გამოგზავნილი კიდევ ორი პაკეტი. როდესაც რედაქციის მდივანი დაღონებული ზემოხსენებულ წერილებს იხილავდა,—ჩაგვაბარეს მოსკოვიდან ჩვენი კორესპონდენტის მიერ გამოგზავნილი საქმიანი დეპეშა. დავიწყეთ კითხვა. ერთი სტრიქონი... მეორე—გასაგებია. მივყევით და შუა ადგილიდან იწყება:

«Грузинская ССР Борчало н/я нр 2 Семигину Павлу Рафоиловичу двести рублей не получила справляемся на почте сережа здоров».

სერიოჟა „ღმერთმა" კარგად ამყოფოს, მაგრამ ჩვენ რას გვერჩით, რა დაგიშავეთ!

გერმან შუბიძე.

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის ჯარი პარიზში შედის

ბერლინი, 14 ივნისი (საკდესი). გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკი იუწყება: „იმის გამო, რომ გარღვეულ იქნა მთელი საფრანგეთის ფრონტი სანაპიროდან მაჟინოს ხაზამდე მონმედთან, საფრანგეთის სარდლობამ ხელი აიღო პირვანდელ განზრახვაზე—დაეცვა პარიზი. პარიზი ღია ქალაქად გამოცხადდა. გერმანიის ჯარი შედის პარიზში".

გერმანიის ჯარი პარიზში შევიდა

ნიუ-იორკი, 14 ივნისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, ამერიკის პარიზელმა ელჩმა ბულიტმა სახელმწიფო დეპარტამენტს აცნობა, რომ გერმანიის არმია პარიზში შევიდა. ქალაქში სიწყნარეა.

საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი, 14 ივნისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ მას შემდეგ, რაც ინგლისი საფრანგეთს შეჰპირდა დაუყოვნებლივ ფართო დახმარებას, საფრანგეთის მთავრობის სხდომაზე ქალაქ ტურში გადაწყდა განგრძობილ იქნას ომი.

შვეიცარიის მთავრობის პროტესტი

ბერლინი, 14 ივნისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ შვეიცარიის ლონდონელ დესპანს დავალებული აქვს გადასცეს ინგლისის მთავრობას პროტესტი და მოთხოვნა რენანისა და ჟენევის ბომბარდირებასთან დაკავშირებით ზარალის ანაზღაურების შესახებ.

იაპონიის მოთხოვნა ინგლისისა, საფრანგეთისა და იტალიისადმი

ჩუნცინი, 14 ივნისი (საკდესი). ჰონკონგიდან მიღებული ცნობებით, იაპონიამ იტალიას, ინგლისსა და საფრანგეთს მიჰმართა მოთხოვნით — გაიყვანონ თავიანთი ჯარები შანხაის საერთაშორისო სეტლმენტის ტერიტორიიდან. იაპონია აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ პასუხი არადამაკმაყოფილებელი იქნება, იგი უფრო გადამწყვეტ ზომებს მიიღებს.

იტალიის ომი ინგლის-საფრანგეთის ბლოკთან

ლონდონი, 14 ივნისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ადენს (ინგლისის ბაზა მეწამული ზღვის შესასვლელთან). ბომბარდირებას მატერიალური ზარალი არ მოჰყოლია. მოკლულია 5 და დაჭრილია 6 არაბი. მტრის ერთი თვითმფრინავი ჩამოგდებულია.

რომი, 14 ივნისი (საკდესი). გაზეთები იუწყებიან, რომ ინგლისელებმა ესპანეთის ტერიტორიულ წყლებში ხელთ იგდეს იტალიის ხუთი გემი. იტალიის ორი სხვა გემი ჩაძირეს ეკიპაჟებმა დურბანის ნავსადგურიდან (სამხრეთ - აფრიკის კავშირი) გასვლის დროს.

ლონდონი, 14 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 12 ივნისს ინგლისის თვითმფრინავებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარები სამხედრო ობიექტებსა და მტრის აეროდრომებს ასმარასა და გურაში (იტალიის აღმოსავლეთი აფრიკა). იტალიის ერთი ავიაგამანადგურებელი ჩამოგდებულია, ორი სხვა, როგორც ფიქრობენ, მოსპობილია, ერთი დაზიანდა. ასაბის რაიონში დანგრეულია ელექტროსადგურები და საწვავი მასალის საწყობები.

დირედავაში (აბისინია) ყუმბარები დავუშინეთ სამხედრო საწყობებს, რომლებშიც მოხდა აფეთქება.

ინგლისის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზებში დაბრუნდა.

ეგვიპტე - ლივიის საზღვარზე შეტაკების დროს ინგლისის ჯარმა ტყვედ წამოიყვანა ორი იტალიელი ოფიცერი და 60 ჯარისკაცი, ხელთ იგდო 3 ტყვიამფრქვევი.

13 ივნისს იტალიის თვითმფრინავები ხუთჯერ გამოჩნდნენ მალტის კუნძულზე. ერთი თავდასხმა საათნახევარს გრძელდებოდა.

შეიარაღებული შეტაკება შანხაიში

შანხაი, 14 ივნისი (საკდესი). საფრანგეთის კონცესიისა და ჩინელთა ქალაქის საზღვარზე მოხდა შეიარაღებული შეტაკება საფრანგეთის პოლიციასა და მარიონეტულ ხელისუფალთა პოლიციას შორის. მიზეზი გამოურკვეველია. შემთხვევის ადგილას მოვიდნენ საფრანგეთის ავტომობილები, რომელთა გამოჩენისას შანხაის მარიონეტულ ხელისუფალთა პოლიციამ თავისი ტერიტორიის სიღრმისაკენ დაიხია.

ინგლის-იაპონიის მოლაპარაკება

ლონდონი, 14 ივნისი (საკდესი). „ნიუს ქრონიკლი" სწერს, რომ იაპონიასა და ინგლისს შორის მიღწეულია შეთანხმება ტიანძინის ადგილობრივი პრობლემების საკითხებზე.

მდგომარეობა ეგვიპტეში

ნიუ-იორკი, 14 ივნისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ეგვიპტის მთავრობის რადიოსადგურის საშუალებით ყველას, ვისაც კი შეუძლია, წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ დასტოვოს ალექსანდრია.

ლტოლვილნი სამხრეთ საფრანგეთისაკენ გარბიან

ნიუ-იორკი, 14 ივნისი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ საფრანგეთში 10 მილიონამდე ლტოლვილი გარბის სამხრეთისაკენ.

გერმანელები პარიზში შევიდნენ სენ-დენის კარით

რომი, 14 ივნისი (საკდესი). სტეფანის სააგენტოს ცნობით, დღეს დილაადრიან გერმანიის ჯარის ავანგარდები სენ-დენის კარით პარიზში შევიდნენ.

ბულიტის მიმართვა გერმანიისადმი

ნიუ-იორკი, 14 ივნისი (საკდესი). გერმანიისადმი გაგზავნილ მიმართვაში ამერიკის პარიზელი ელჩი ბულიტი სწერს: „პარიზი გამოცხადებულია ღია ქალაქად. პარიზის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა, გენერალმა ერინგმა ჯარი გაიყვანა. მიღებულია ზომები მცხოვრებთა სიცოცხლისა და საკუთრების უშიშროების უზრუნველსაყოფად. ამერიკის ელჩი ბულიტი რჩება პარიზში სამხედრო და საზღვაო ატაშეებთან, საელჩოს მრჩეველთან და ექვს მდივანთან ერთად, როგორც დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელი".

საბერძნეთის ხელისუფლების განკარგულება

ნიუ-იორკი, 14 ივნისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, საბერძნეთის გემებს, რომლებიც თურქეთის წყლებში იმყოფებიან, წინადადება მიეცათ დაბრუნდნენ საბერძნეთში.

ინგლისის ჯარი საფრანგეთში ჩავიდა

ლონდონი, 13 ივნისი (საკდესი). ინფორმაციის სამინისტრო იუწყება, რომ ამ დღეებში საფრანგეთში ჩავიდა ინგლისის ახალი ჯარი, რომელმაც საფრანგეთის ჯარის ნაწილებთან ერთად პოზიციები დაიკავა ფრონტის უბანზე სენის სამხრეთით.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ჩინეთში

ჩინეთის სარდლობა უარყოფს იაპონელთა მტკიცებას იმის შესახებ, რომ მათ ხუბეის პროვინციაში დაიკავეს ქალაქი იჩანი.

იაპონიის ჯარი იჩანს სამ კოლონად უტევს. ერთი კოლონა უტევს ჩუნსიან - ტანიან-იჩანის გზის გასწვრივ, მეორე—ხანკოუ - იჩანის გზატკეცილის გასწვრივ და მესამე — იანძის ჩრდილო ნაპირის გასწვრივ. იაპონიის იმ ჯარის საერთო რიცხვი, რომელიც მდინარე ხანის დასავლეთით მოქმედებს, 60 ათას კაცს უდრის.

ძიანსის პროვინციაში, ნანჩანის დასავლეთით, ჩინეთის ჯარმა დაიკავა პოზიციები ამ ქალაქის დასავლეთით 20 კილომეტრზე. ჩინეთის ჯარის მეორე ნაწილმა დაიკავა ანის სამხრეთით მდებარე პუნქტი (ნანჩანის ჩრდილო - დასავლეთით). ჩინეთის ჯარის შეტევა გრძელდება.

13 ივნისი (საკდესი).

ომი იტალიასა და ინგლის-საფრანგეთს ბლოკს შორის

ბერლინი, 13 ივნისი (საქდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო რომიდან გადმოგვცემს იტალიის სამხედრო საჰაერო ძალთა სარდლობის ცნობას. ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიის ავიაცია განაგრძობს მტრის აეროდრომებისა და სამხედრო-საზღვაო დასაყრდენი პუნქტების ბომბარდირებას. მოეწყო თავდასხმა ბიზერტასა და ტულონზე. ბიზერტაში ბევრგან დიდი ხანძარი გაჩნდა. სამხედრო ნაგებობანი დაზიანებულია. აეროდრომის ბომბარდირების დროს მწყობრიდან გავიდა 9 თვითმფრინავი. ხმელთაშუა ზღვაში იტალიის წყალქვეშა ნავის მიერ ტორპედირებულია მტრის კრეისერი და 10.000 ტონა წყალწყვიანი ტანკერი.

მტრის თვითმფრინავებმა იტალიის აღმოსავლეთ აფრიკაში ყუმბარები დაუშინეს ასმარისა და აგორდატის აეროდრომებს, მაგრამ უმნიშვნელო მატერიალური ზიანი მიაყენეს. მოკლულია 10 კაცი. გუშინდელი დღის განმავლობაში იტალიის ავიაგამანადგურებლებმა კირენაიკის ტერიტორიაზე მოწინააღმდეგის 6 თვითმფრინავი ჩამოაგდეს. როგორც ჩანს, მოწინააღმდეგის თვითმფრინავებმა თავდასხმა მოაწყეს ქალაქ ტურინზე. არის მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობაში.

ლონდონი, 13 ივნისი (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 11 ივნისს კუნძულ მალტაზე იტალიის ავიაციის თავდასხმაში მონაწილეობა მიიღო 20 თვითმფრინავმა. ჩამოგდებული ყუმბარების ნაწილი ზღვაში ჩაცვივდა, დანარჩენი ყუმბარებით დანგრეულია ბარაკები და კერძო სახლები კუნძულის სხვა და სხვა რაიონში. დაუდასტურებელი ხმების თანახმად, თავდასხმა იტალიელ მფრინავებს მოუწყვიათ გერმანული თვითმფრინავებით, რომლებზედაც გერმანელი მეთვალყურენი იმყოფებოდნენ.

ლონდონი, 13 ივნისი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 12 ივნისს დილით, ინგლისის ყუმბარმშენებმა თავდასხმა მოაწყეს ტობრუკის ნავსადგურზე ლიბიაში. დაზიანებულია იტალიის ბევრი გემი.

ბუდაპეშტი, 13 ივნისი (საქდესი). გაზეთი „პესტერ ლოიდი" ასწერს რომში შექმნილ მდგომარეობას. „რომმა სახე იცვალა. ქალაქი თითქმის დაცარიელდა. ქუჩებში მხოლოდ ჯარი დადის. ვატიკანი სრულიად დაკეტილია. ვატიკანში ახლა მხოლოდ სპეციალური ნებართვით შეიძლება შესვლა. ყველგან ძლიერი მცველი რაზმებია. დღეს, ღამით, რომსა და მილანში საჰაერო განგაში გამოცხადდა".

გერმანიის გაზეთები იტალიის შეიარაღებული ძალების შესახებ

ბერლინი, 13 ივნისი (საქდესი). გაზეთი „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი" სწერს, რომ ამ უკანასკნელ წლებში იტალიის არმია მნიშვნელოვნად გადიდდა. მან ერთგვარი რეორგანიზაცია განიცადა აბისინიასა და ესპანეთში ომის დროს მიღებული გამოცდილების შემდეგ. ახლა, სწერს გაზეთი,—იტალიას ჰყავს არმია, რომელიც შესდგება 18 საარმიო კორპუსისაგან 54 ქვეითი დივიზიით, ერთი საარმიო კორპუსისაგან 2 მოტორიზებული დივიზიით, სატანკო ჯარის ერთი საარმიო კორპუსისაგან 3 დივიზიის შემადგენლობით, ერთი საარმიო კორპუსისაგან 3 მოტორიზებული დივიზიის შემადგენლობით და, დასასრულ, ალპების ჯგუფისაგან, რომელშიც 5 დივიზია შედის.

სატანკო ჯარის ნაწილები იტალიაში არ განვითარებულა. იტალია ფიქრობდა, — განაგრძობს გაზეთი, —რომ საომარი მოქმედების მთავარი ასპარეზი ალპები იქნებოდა. ამიტომ იტალია დიდ ყურადღებას აქცევდა ალპების ჯარის გაძლიერებას. შემდეგ გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იტალიას არა აქვს მაჟინოს ხაზის მსგავსი სიმაგრეები. ალპები იცავს მის ჩრდილოეთის საზღვრებს, ამასთან ალპებში არის ცალკეული ძლიერი სიმაგრეები, რომლებიც შეჭრილია სიღრმეში. ამ უკანასკნელ ხანს ასეთივე სიმაგრეები აგებულია ჩრდილოეთ აფრიკაში. გაზეთის ცნობით, იტალიის ავიაციას 4 ათასამდე თვითმფრინავი მოეპოვება.

გარდა ამისა, იტალიაში არიან შავხალათიანთა რაზმები, რომლებშიც ირიცხება 535 ათასი მერიგე და 26 ათასი ოფიცერი. ამ რაზმებს მოქმედი არმიის შემადგენლობაში შეიყვანენ.

ამერიკის დახმარება მოკავშირეებისადმი

ვაშინგტონი, 13 ივნისი (საქდესი). პრესის წარმომადგენელთა კონფერენციაზე რუზველტმა მოიწონა „მოკავშირეთათვის დახმარების გაწევით ამერიკის დაცვის კომიტეტის" მიმართვა, რომელიც 10 ივნისს ამერიკის ბევრმა გაზეთმა გამოაქვეყნა. ეს კომიტეტი, — ომში პირდაპირ ჩარევისაკენ მოუწოდებლად თავის მიმართვით, მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოკავშირეებს გაუგზავნონ თვითმფრინავები, ზარბაზნები და საომარი იარაღი.

„ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამი" გადაჭრით ილაშქრებს ამ მიმართვის წინააღმდეგ, რომელიც, როგორც გაზეთი აღნიშნავს, მიზნად ისახავს ომში ჩაბას ამერიკის შეერთებული შტატები.

რუზველტმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ამჟამად იგი სწავლობს „მოკავშირეებისათვის კიდევ უფრო მეტი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობას".

იუნაიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრომ განკარგულება გასცა, რათა ჰაულტონში (მენის შტატი) გაიგზავნოს 93 გამანადგურებელი ნორტროპი, რომლებიც შემდეგ კანადაში გაიგზავნებიან. სააგენტო აღნიშნავს, რომ, სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, სამხედრო თვითმფრინავები ყოველგვარი ფორმალობის გარეშე ბრუნდებიან საავიაციო ქარხნებში ინგლისისა და საფრანგეთისათვის მისასყიდად.

ნიუ-იორკი, 13 ივნისი (საქდესი). როგორც ინტერნეიშიონელ ნიუს სერვისის სააგენტო იუწყება, ავტორიტეტულ წრეებში აცხადებენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადასწყვიტეს მიჰყიდონ ინგლისსა და საფრანგეთს სულ მცირე 20 და, შესაძლოა, 35 საესკადრო ნაღმოსანიც კი, რომლებიც უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში არა ყოფილან მწყობრში.

ამერიკის შეერთებული შტატების დამატებითი სამხედრო ასიგნებანი

ნიუ-იორკი, 13 ივნისი (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, წარმომადგენელთა პალატის ასიგნებათა კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი სამხედრო საჭიროებისათვის 1.706 მილიონი დოლარის დამატებითი ასიგნების შესახებ. ამრიგად, საომარი საჭიროების ასიგნებათა საერთო ჯამი მომავალ საბიუჯეტო წელს (1 ივლისიდან) 5.021 მილიონ დოლარს შეადგენს.

მიღებული კანონპროექტი ითვალისწინებს ამერიკის არმიის რიცხვის 375 ათას კაცამდე გადიდებას. როგორც აცნობა კომისიას ამერიკის არმიის შტაბის უფროსმა—გენერალმა მარშალმა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს გაფართოებული პროგრამა „ითვალისწინებს მთელი დასავლეთ ნახევარსფეროს, და არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების დაცვას".

მოწონებული კანონპროექტი ითვალისწინებს არმიისათვის 3 ათასი ახალი თვითმფრინავის აგებას, არტილერიის, ტანკებისა და სხვა იარაღის რაოდენობის გადიდებას. საზღვაო სამინისტროს ხაზით განზრახულია აგებულ იქნას 68 სამხედრო გემი, მათ შორის 3 ავიამზიდი, 13 კრეისერი, 22 წყალქვეშა ნავი, 30 საესკადრო ნაღმოსანი, და რეკონსტრუირებულ იქნას 35 ძველი საესკადრო ნაღმოსანი. განზრახულია აგრეთვე აგებულ იქნას მთელი რიგი დამატებითი სამხედრო-საზღვაო ბაზები.

სააგენტო აღნიშნავს, რომ კონგრესმა საბოლოოდ მოიწონა კანონპროექტი იმის შესახებ, რომ ამერიკის საზღვაო ფლოტი გადიდებულ იქნას 11 პროცენტით, საჰაერო ფლოტი 10 ათასი თვითმფრინავით, და მომზადებულ იქნას 16 ათასი მფრინავი.

ეგვიპტის პოზიცია

ლონდონი, 13 ივნისი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, გუშინ, სამი საათის კამათის შემდეგ, თუ რა პოზიციას დასდგომოდნენ იტალიის მიმართ, ეგვიპტის სენატმა მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამია: „სენატი სურვილს გამოსთქვამს, რომ მთავრობამ, ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულების შესაბამისად, კვლავ ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს თავის მოკავშირეს—ინგლისს".

სამხრეთ-აფრიკის კავშირმა ომი გამოუცხადა იტალიას

ლონდონი, 11 ივნისი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ თანახმად დომინიონების სამინისტროს ოფიციალური ცნობისა, რომელიც ლონდონში გამოქვეყნდა, დღეს ნაშუადღევს სამხრეთ-აფრიკის კავშირმა ომი გამოუცხადა იტალიას.

იტალიის სამხედრო წრეები პარიზის რაიონში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

ბერლინი, 13 ივნისი (საქდესი). ტრანსოცეანის სააგენტო იუწყება, რომ იტალიის სამხედრო წრეებს პარიზის მდგომარეობა უიმედოდ მიაჩნიათ. სააგენტოს მოჰყავს გენერალ რომანოს განცხადება, სადაც ნათქვამია: „გერმანიის ჯარი უკვე უშუალოდ პარიზთან იმყოფება. საფრანგეთის ჯარის შემდგომი წინააღმდეგობა ველარ იხსნის პარიზს, ვინაიდან საფრანგეთს უკვე გამოყვანილი ჰყავს საბრძოლველად მთელი თავისი ძალები. საფრანგეთს არ შეუძლია რაიმე შეიარაღებული დახმარების იმედი იქონიოს. ინგლისს ამჟამად არაფრით არ შეუძლია დაეხმაროს საფრანგეთს".

იტალიის ჯარმა გადალახა ინგლისისა და საფრანგეთის სომალის საზღვრები

ნიუ-იორკი, 11 ივნისი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს რომაელი კორესპონდენტი იუწყება, იტალიის ჯარმა, რომელიც იტალიის სომალში და აბისინიაშია განლაგებული, ინგლისისა და საფრანგეთის სომალის საზღვრები გადალახა. ადის-აბებიდან იუწყებიან, რომ იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს სამხედრო ობიექტებს ადენის მახლობლად.

„მანერჰაიმის ხაზი"

ვის არ გაუგონია მანერჰაიმის ხაზი! ყოველი ჩვენგანი მოუთმენლად ელოდა ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბის ცნობას ამ ხაზის სიმაგრეების აღების შესახებ. ბევრი წერილი დაიწერა ამ სიმაგრეებზე. მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ, ვისაც საკუთარი თვალით არ გვინახავს ეს ხაზი, დაახლოებითი წარმოდგენაც არ გვქონია მასზე. ეს ნათელჰყო კინოფილმმა „მანერჰაიმის ხაზი". ეს შესანიშნავი ფილმი იძლევა სრულ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა დიდი საფრთხე იყო აღმართული ლენინგრადის გვერდით. როცა ხედავ ეკრანზე ფილმის კადრებს, მანერჰაიმის ხაზის სქემას, ათასჯერ იზრდება სახელოვანი წითელი არმიისა და საპატიო ფლოტის გმირობა, რომელმაც ორ კვირაში შემუსრა იმპერიალისტურ სახელმწიფოების შეერთებული ძალით აგებული სიმაგრეები.

ფილმი იწყება წინა დღის კადრებით. თოვლით შესუდრული საზღვარი და წითელი მესაზღვრე მიჯნაზე. ფინეთის პროვოკაციის საპასუხოდ დაიძრნენ წითელი არმია, საზღვაო-სამხედრო ფლოტი, სტალინური შევარდნები, ხმელეთის ხომალდები—ტანკები. გამხეცებული მტერი იბრძვის ყოველი გოჯი მიწისათვის. იბრძვის ვერაგულად. ეკრანზე მოსჩანს სახლები, რომლებსაც ცარცით აწერია: „დანაღმულია". ნაღმები გვხვდება ყოველი ფეხის ნაბიჯზე. წითელმა არმიამ მალე გაიგო მტრის ხრიკები. ჯარს წინ მიუძღვიან გმირი საპიორები, რომელთა ფრთხილი თვალი დროულად პოულობს თოვლში ჩაფლულ, შენიღბულ ნაღმებს და სწმენდს მათგან გზებს.

უცქერი ამ ფილმის კადრებს და ხვდები თანამედროვე ომის თავისებურებას. ეს არის ტექნიკის ომი. მებრძოლის პირად ვაჟკაცობას თან უნდა ახლდეს დიდი ცოდნა, მაღალი ტექნიკური მომზადება.

წითელი არმია წინ მიიწევს. გაიარეს ტერიოკი, დაბები და სოფლები. და აი მსოფლიო ბურჟუაზიის იმედი — მანერჰაიმის ხაზი. ეკრანზე მოცემულია შესანიშნავი სქემა ამ ხაზისა. მთელი მიდამო ლადოგის ტბიდან ფინეთის ყურემდე დასერილია სიმაგრეებით. ე. წ. „დოტი" — ნამდვილი ციხე-კოშკი მიწის ქვეშ და მის გარშემო თხრილები, მავთულების ხლართი მაღალი ძაბვის ელდენით, გრანიტის „ნადოლბები" ტანკების საწინააღმდეგოდ, ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევების პუნქტები, რომლებსაც წინ ფოლადის ფარები აქვს აფარებული. სიმაგრეები ისეა განლაგებული, რომ ყოველ წერტილს, სადაც შეიძლება მტერი გამოჩნდეს, ოთხი ადგილიდან დაუშინებ ზარბაზნებსა და ტყვიამფრქვევებს. როცა ხედავ სიმაგრეების ამ ქსელს, შექმნილს მოწინავე ტექნიკის მიერ, გგონია, რომ იგი გაუვალია. მაგრამ წითელ არმიას კარგად ახსოვს ბელადის სიტყვები სიმაგრეთა შესახებ. და აი კადრი ეკრანზე: თეთრ ხალათებში გახვეული საპიორები მიცოცავენ თოვლში. მტრის ტყვიამფრქვევი თოვლის ბუღს ადენს. ერთი წითელარმიელი დაიჭრა კიდეც, სხვები არ შედრკნენ. ნელა, მაგრამ მტკიცედ მიდიან წინ. შემოაწყვეს ფინელთა მიერ დატოვებული ნაღმები „ნადოლბებს". საშინელი აფეთქება—და ტანკებისათვის გზა ხსნილია.

და მეორე კადრი: ისევ საპიორები, თეთრად შესუდრულნი, მიცოცავენ „დოტისაკენ". ზევიდან ეს „დოტი" არც კი მოსჩანს. მაგრამ ჭუჭრუტანებიდან შეუსვენებლივ კაკანებენ ტყვიამფრქვევები. და სწორედ ამ ტყვიამფრქვევების ტუჩის ქვეშ დააწყეს ნაღმები საპიორებმა. აფეთქება. გადაიშალა „დოტი". კინო-აპარატს დაწვრილებით გადაუღია ეს სიმაგრე. პირველ სართულში საწოლებია, ოფიცრებს პიანინოც მოუთრევიათ. ეტყობა, მტრები გულდამშვიდებით გრძნობდნენ იქ თავს. მეორე სართულში ზარბაზნები, ტყვიამფრქვევები და მრავალი სხვა საბრძოლო მოწყობილება. „დოტის" კედელი რკინაბეტონისაა და სისქე ორი მეტრი აქვს. მის ამბრაზურებიდან გარშემო მოსჩანს ყველაფერი. მტერი ვერსად დაიმალება. ასეთი „დოტი" იყო მანერჰაიმის ხაზზე 343, ხოლო გრანიტისა და მიწის არანაკლებ საშინელი სიმაგრე—2.257. მათ შორის შემაერთებელი სანგრები, ტყვიამფრქვევების ბუდეები, მავთულის ხლართები, ფოლადის ბოძების ტყე ტანკების წინააღმდეგ.

ორი კვირის განმავლობაში ყველა სიმაგრე სათითაოდ შემუსრა წითელმა არმიამ. უკანასკნელი სიმაგრე—ვიბორგი წითელი მებრძოლები გარს შემოერტყნენ ქალაქს. ავარდა ალი ვიბორგში—ფინელები სწვავენ სახლებს, ქარხნებს.

ომი დამთავრდა. გამარჯვებული წითელი არმია ბრუნდება ლენინგრადში, სადაც მას ტრიუმფალურ შეხვედრას უწყობენ.

ფილმი „მანერჰაიმის ხაზი" შესანიშნავი დოკუმენტალური ფილმია. იგი გვიჩვენებს წითელი არმიის გმირობას, თავდადებას სოციალისტური სამშობლოსათვის, სტალინისათვის. საბჭოთა ოპერატორებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს, აღბეჭდეს ეკრანზე წითელ მებრძოლთა გმირობა, რომელიც არასოდეს არ დაავიწყდება ჩვენს ქვეყანას.

გ. ნუცუბიძე.

ფილმი „სტალინურ ადგილებში"

(გორი, „კომუნისტის" კორესპონდენტისაგან)

სტალინის სამშობლო ქალაქში გორში მოსკოვიდან ჩამოვიდა „მოსტეხფილმის" სტუდიის კინოექსპედიცია რეჟისორ დუბლინსკის ხელმძღვანელობით. ექსპედიცია გადაიღებს კადრებს ხმოვანი კინოსურათისათვის „სტალინურ ადგილებში". ფილმში ნაჩვენები იქნება ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი **სტალინის** ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიული ადგილები საქართველოში.

ექსპედიციამ უკვე გადაიღო ქ. გორი. ფილმის რედაქტორია აკადემიკოსი ე. იაროსლავსკი, კონსულტანტი პროფესორი მოსკალოვი, მუსიკას სწერს კომპოზიტორი ვ. მურადელი.

ქუთაისის თეატრის 60 წლისთავის გამო

ქუთაისი, 14 ივნისი (საქდესი). ქუთაისის მშრომელნი ემზადებიან თავიანთი თეატრის 60 წლის იუბილეისათვის, რომელიც ა. წ. 1 ივლისს უნდა აღინიშნოს.

ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებში ეწყობა მოხსენებები და საუბრები თეატრის ისტორიული გზის შესახებ.

იუბილეს დღეებში გაიხსნება თეატრის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

მალე დაიბეჭდება და გამოვა წიგნი „ქუთაისის თეატრი", დოცენტ დ. ჯიბლაძის რედაქციით. წიგნის ერთერთი თავი მიძღვნილია თეატრის წარმოშობის ისტორიისადმი. მუდმივმა ქართულმა დასმა, უნიჭიერეს მსახიობ კოტე მესხის ხელმძღვანელობით, პირველი წარმოდგენა გამართა 1880 წელს თეატრის შენობაში, რომელიც ვაჭარ ხარაზიშვილებს ეკუთვნოდათ. დაიდგა ზ. ანტონოვის პიესა „მზის დაბნელება საქართველოში".

1875 წელს, მუდმივი დასის ჩამოყალიბებამდე, ქუთაისის თეატრის სცენაზე პირველად გამოვიდა მსახიობი ვასო აბაშიძე. იგი ბელოგუბოვის როლს ასრულებდა ოსტროვსკის პიესაში „შემოსავლიანი ადგილი".

1895-დან 1906 წლამდე ქუთაისის თეატრის სათავეში იდგა ვ. ალექსი-მესხიშვილი, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა ისეთი გამოჩენილი მსახიობები, როგორც ნ. ჩხეიძე, ვ. შალიკაშვილი, ნ. დავითაშვილი, ა. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი, მ. ქორელი და სხვ.

1906-დან 1908 წლამდე თეატრს ხელმძღვანელობდა დრამატურგი შ. დადიანი.

წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქუთაისის თეატრის მუშაობას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში (1938 წლიდან), როდესაც თეატრი ამხ. ლ. პ. ბერიას პირადი დახმარებით მტკიცედ დადგა ფეხზე და მიიღო თავისი მოღვაწეობის ფართოდ გაშლის შესაძლებლობა.

სახანძრო დაცვის მუშაკების პლენუმი

ამ დღეებში თბილისში ჩატარდა სახანძრო დაცვის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის მეორე პლენუმი. პლენუმზე მოხსენებით სახანძრო დაცვისა და პროფორგანიზაციების ამოცანების შესახებ გამოვიდა სახანძრო დაცვის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გ. მდივანი. თანამოხსენებით გამოვიდა ბათუმის სახანძრო დაცვის ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. შამალოვი.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: შოტნიაშვილმა, ასათიანმა, შიხმანმა, ნაჭყებიამ, ახვლედიანმა, არუთინოვმა, ბუაჩიძემ, შვანგირაძემ, ქორიძემ, მიხელიძემ, შამბემ, იაშაკაშვილმა და ამხ. ი. სიხარულიძემ.

პლენუმზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს შინსახკომის სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსი, სახელმწიფო უშიშროების უფროსი ლეიტენანტი ამხ. გ. ოყროშიძე.

1939 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში სახანძრო დაცვის საქმეში მასობრივი პროფილაქტური მუშაობის გაშლის შედეგად საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისათვის რესპუბლიკაში პირველი ადგილი დაიკავა ბათუმის სახანძრო დაცვამ. ბათუმში 1940 წლის პირველ კვარტალში, 1939 წელთან შედარებით, ხანძრიანობა და ხანძრისაგან მიყენებული ზარალი 28,7 პროცენტით შემცირდა.

წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მოსახლეობაში ამჟამად დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა. ხანძრის საწინააღმდეგო საზოგადოებრივი უჯრედების ჩამოყალიბებისათვის.

პლენუმმა მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახანძრო დაცვა.

აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისათვის

საიუბილეო კომიტეტის სხდომა

15 ივნისს, დღის 3 საათზე საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის კაბინეტში სახკომის ამხ. გ. კიკნაძის თავმჯდომარეობით შესდგება აკაკი წერეთლის საიუბილეო კომიტეტის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრნენ: ა. მაშაშვილი, გ. ლეონიძე, ი. თავაძე, ბ. გოგუა, ი. აბაშიძე, ვ. გრიგორიანი, ვ. ხატიაშვილი, ვ. ეგნატაშვილი, ა. მირცხულავა, შ. დადიანი, ლ. ქიაჩელი, დ. შენგელაია, ი. მოსაშვილი, ს. ჩიქოვანი დ. ყიფშიძე, კ. კეკელიძე, ი. ჯავახიშვილი, ა. ვასაძე, შ. ღამბაშიძე, ი. ნიკოლაძე, ი. გრიშაშვილი, გ. ტაბიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ლ. გუდიაშვილი, გ. კილაძე, ლ. გვარამაძე, დ. ანდღულაძე და ა აბარიანი.

სამეცნიერო სესია უნივერსიტეტში

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდება სამეცნიერო საიუბილეო სესია, მიძღვნილი აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი. სამეცნიერო საიუბილეო სესიის პირველი სხდომა შესდგება 15 ივნისს, საღამოს 8 საათზე, უნივერსიტეტის 107-ე აუდიტორიაში. სესიაზე, რომელიც 20 ივნისამდე გაგრძელდება, მოხსენებებს წაიკითხავენ უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები და მასწავლებლები. 15 ივნისს პროფ. ზანდუკელი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „აკაკი როგორც პუბლიცისტი", დოც. შ. რადიანი—„აკაკი როგორც კრიტიკოსი", დოც. ს. ჭილაია—„აკაკი წერეთლის პროზა", დოც. ს. სიხარულიძე—„აკაკი წერეთელი და ხალხური შემოქმედება", ს. ხუციშვილი—„აკაკი წერეთლის დრამატურგია".

სამეცნიერო სესიის მეორე სხდომაზე, 17 ივნისს, პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „ბაშიაჩუკის კომენტარიისათვის", დოც. ვ. კაკაბაძე—„აკაკი წერეთლის პოემა „100 წლის ამბავი", დოც. გ. აბზიანიძე—„აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობა", დოც. პ. გუგუშვილი—„აკაკი წერეთელი და ცენზურა", დოც. გრ. კიკნაძე—„აკაკი წერეთლის დრამატიულ ნაწარმოებთა კომპოზიცია".

სამეცნიერო სესიის მესამე სხდომაზე, 19 ივნისს, პროფ. გ. თავზიშვილი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე „აკაკი წერეთელი და სახალხო განათლება", დოც. ივ. ბეგლაროვი—„აკაკი წერეთელი სომხურ ლიტერატურაში", აპ. მახარაძე—„აკაკი ლიტერატურულ საღამოებზე", აკ. ავალიშვილი — „მხედველობა და სმენა აკაკი წერეთლის პოეზიაში".

20 ივნისს სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში გაიმართება სამეცნიერო საიუბილეო სესიის პლენარული სხდომა. შესავალი სიტყვით გამოვა თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი დოც. დ. ყიფშიძე, მოხსენებას თემაზე: „აკაკი წერეთლის ლირიკა" გააკეთებს პროფესორი მ. ზანდუკელი, დასასრულს წაიკითხავენ მოგონებებს აკაკი წერეთელზე.

სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფ. მიხ. ზანდუკელის ხელმძღვანელობით სამეცნიერო საიუბილეო სესიის პერიოდში გაიხსნება აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომი წინადადებას აძლევს საქ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატს გური გიორგის-ძე ერქომაიშვილს ხუთი დღის განმავლობაში გამოცხადდეს მახარაძის პარტრაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებაში ამხ. ხავთასისთან.

საქ. კ. პ. (ბ) წყალტუბოს რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3305789, გაცემული მიხეილ დიმიტრის-ძე ძაძამიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათი № 1145965, გაცემული იოსებ იოსების-ძე ბიძინაშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის — „მანერჰაიმის ხაზი", **ოქტომბერი** — „მანერჰაიმის ხაზი", **დამკვრელი** (ზაფხულის) — „მანერჰაიმის ხაზი", **დამკვრელი** (ზამთრის) — „მანერჰაიმის ხაზი", **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „მანერჰაიმის ხაზი", **კომკავშირელი** (ზამთრის) — „არინკა", **ლუქსემბურგის** სახ. — „დაგვიანებული სასიძო", **კომინტერნი** — „დაგვიანებული სასიძო", **26 კომ.** სახ. (ზაფხულის) — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", **26 კომ.** სახ. (ზამთრის) — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი", **ორჯონიკიძის სახ. პარკი** — „მეოთხე პერისკოპი".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს,

რომ ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე (უნივერსიტეტის მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) დისერტაციას დაიცავენ:

ა. ეკონომიური ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 22 ივნისს, საღ. 7 საათზე, აუდ. № 86

ნ. ვ. პაიჭაძე—ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე — **„Потребкооперация Грузии за период 1932—1938 г. г." (к анализу торгово-заготовительной и финансовой деятельности).**

ოფიციალური ოპონენტები: ეკონ. მეც. კანდ. დოც. **ა. ნუცუბიძე**, დოც. **ნ. ლაჭყეპიანი.**

ბ. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 23 ივნისს, საღამოს 8 საათზე (ფიზიკ. აუდ.)

მ. ო. კორძახია—ფიზიკა-მათემატიკ. მეცნიერებათა კანდიდატის (გეოფიზიკაში) სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე—**„ნალექები დასავლეთ საქართველოში".**

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. **ა. ბალაბუევი**, დოც. **ი. ქურდიანი.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
200 უნივერსიტეტის რექტორი **დ. ყიფშიძე.**

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს,

რომ ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე (უნივერსიტეტის მთავარი შენობა, მარის ქუჩა № 1) დისერტაციას დაიცავენ:

ა. ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე—ა. წ. 22 ივნისს, საღ. 9 საათზე, აუდ. № 93

ვ. ვ. ბერიძე—ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე—**„სავანე—მე-11 საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი".**

ოფიციალური ოპონენტები: ხელოვნებათმცოდ. მეც. დოქტორი, პროფ. **შ. ი. ამირანაშვილი**, ხელოვნებათმც. მეც. დოქტორი, პროფ. **გ. ნ. ჩუბინაშვილი.**

ბ. ეკონომიურ ფაკ. სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 22 ივნისს, საღ. 8 საათზე, აუდ. № 86

გ. ი. მეგრელიშვილი—ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე—**„კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ლირებულების თეორია".**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი—**ს. ბერაძე**, ეკონომიურ მეცნ. კანდიდატი—დოცენტი **ვ. ბახტაძე.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
51 უნივერსიტეტის რექტორი **დ. ყიფშიძე.**

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს, რომ ა. წ. 19 ივნისს, საღამოს 8 საათზე (უნივერსიტეტის მთავარი შენობა) მარის ქ. № 1 აუდ. № 103.

ეკონომიურ ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე **გიორგი სამსონის-ძე გამყრელიძე** დაიცავს დისერტაციას ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„ხელოსნური მრეწველობა და ამქრული წყობილება საქართველოში".**

ოფიციალური ოპონენტები: ეკონომ. მეც. კანდიდ. დოც. **პ. ა. გუგუშვილი.**
ეკონომ. მეც. კანდ. დოც. **ი. ხ. მიქელაძე.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
596 უნივერსიტეტის რექტორი **დ. ყიფშიძე.**

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს,

რომ ა. წ. 21 ივნისს, საღამოს 7 საათზე (უნივერსიტეტის მესამე კორპუსი, მარის ქ. № 11, ბოტანიკის აუდიტორია) ბიოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე დისერტაციას დაიცავენ:

ა. ვ. კოზერიძე—ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„გამოკვლევები ზრდის ნივთიერებათა მოქმედებაზე კალმების დაფესვიანების დროს".**

ნ. ა. ანელი—ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„ფერადი სინათლის გავლენა თესლების გაღივებაზე და მცენარის შემდგომ განვითარებაზე".**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი **ვ. ზ. გულისაშვილი**
დოცენტი **ძ. ე. ცხაკაია.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო
56 უნივერსიტეტის რექტორი **დ. ყიფშიძე.**

თანახმად ზემდგომი ორგანიზაციისა და წევრთა საერთო კრების დადგენილებისა ხდება არტელ **„სამშენ მასალის"**

ლიკვიდაცია.

პრეტენზიები მიიღება ა. წ. 25 ივნისამდე საღამოს 6—9 საათამდე. ლიკვიდკომი იმყოფება ლერმონტოვის ქ. № 7.

1056 **ლიკვიდკომი.**

ქმარი დიტო, შვილი გივი, თამარ, ქეთო ყიფიანები, ე. ნატრიაშვილი ქმარშვილით, დედა მარგარიტა, დები ფ. კვანტალიანი, ბ. მელქაძე, ო. სიხარულიძე, მ. მალაზონია ქმარშვილით იუწყებიან, რომ 18/VI, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია

აზა ხაჭალია-ყიფიანის

პანაშვიდი. 6781

მეუღლე ეკატერინე, შვილი თინა, ძმა არტემი, რძლები ელისაბედ და აგრაფინა, ძმისწულები ლილი და ხონდარ ალავიძეები იუწყებიან

ალექსანდრე გიორგის-ძე ალავიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. სამტრედიაში.

სიძეები ლავრენტი, ვარლამ, სანდრო, გრიშა იუწყებიან

ვანო თომას-ძე ლებანიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15/VI 8 ს. დაკრძალვა 16/VI 5 ს. საბასულხანის, 9—ა. 6777

მეუღლე კესარია, შვილები ლიდა, ეფროსინე, დარიკო, ეენია, მარგო იუწყებიან

ვანო თომას-ძე ლებანიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15/VI 8 ს. დაკრძალვა 16/VI 5 ს. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 6777

მშობლები თინა, ვალიკო, ბაბუა იოსებ, ბებია მატრონე, ბიძები რუბენ, ისაკი, დეიდები ფატულა, ოლია, მაყვალა იუწყებიან

თამაზიკო ანდღულაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 16/VI 5 ს. ორჯონიკიძის, 66. 6778

ცოლი ივლიტა, დედა ეკა, შვილები თამარ, გოგია, ვარდო, ჟულიეტა, ძმა შალიკო ცოლშვილით, დები იუწყებიან

ივანე (კუჭუნა) ფილიპეს-ძე სიხარულიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15/VI 7 ს. გამოსვენება 16/VI 5 ს. ხეჩუაშვილის, 20. 6778

შვილები ეთერ, აბესალომ, დები ნატა, კატო, ძმა არტემ იუწყებიან

დუნია ლუკას-ასულ სამსონიას

გარდაცვალებას. გამოსვენება 16/VI 5 ს. ეორესის, 57 კუკიის სასაფლაოზე. 6767

შვილები ანგელინა, კოტე, აფრასიონი ცოლშვილით, ნინო ქმარშვილით იუწყებიან

გიორგი ტაბატაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/VI ს. შარელისში. 6758

მეუღლე მანან, შვილები: გრიშა, მიშა და არტაშა იარალოვები ცოლშვილით იუწყებიან საყვარელი მამის

ბულდანას

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე, დაკრძალვა 17/VI, დღის 5 ს. ქ. სიღნაღში.

დეიდა ქეთო მეფარიშვილი ქმარშვილით იუწყება

ზინა კერესელიძის

გარდაცვალებას. 6770

მარიამ, კოწია, თამარ მელაძეები, მირიან გაბუნია, ტერეზა, ვასილ საგინაშვილები იუწყებიან

დუნია ლუკას-ასულ სამსონიას

გარდაცვალებას. 6771

დონდუა, თალაქვაძე, გედევანიშვილი, შახპარონიანი, ქ. ხოდია, ჩიქოვანი, ინწკირველი, ცეიმი, კობახიძე, ჩხაიძე, ოოვლათბეგოვი, კალანდაძე, წერეთელი, სამადალაშვილი, ხარისჩარიშვილი იუწყებიან იაშა თავართქილაძის დედის

ალათის

გარდაცვალებას. 6774

მეუღლე ბაბუცა, შვილები გიორგი, ნონა, ზოია, თინა, გობრონი, რძალი, სიძე, შვილიშვილები იუწყებიან, რომ 20/VI ს. ახუთში (ჩხოროწყუს რ.) დანიშნულია

ანდრონიკე ჯოხთაბერიძის

სამოქალაქო პანაშვიდი. 6775

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი. ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—8—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 8—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—8—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 8—81—84, სასოფლო-სამეურნეოს — 8—78—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის — 8—80—88, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—8—80—84, წერილების—8—78—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—8—81—65, გამომცემლობის—8—51—81, სტამბის დირექტორის—8—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.
მთავლიტის რწმუნებული ა—1441